საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 278 (9438) | სამშაბათი, 25 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

გზა გავუკაფოთ ახალს, მოწინავეს! — «პრავდის» 24/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით მოვიპოვოთ ახალი საწარმოო გამარჯვებები (1-ლი გვერდი).
ვ. კოპალეიშვილი—ქობულეთელ და სამტრედიელ კოლმეურნეთა შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
საკავშირო პროფსაბჭოს IX პლენუმი (მე-2 გვერდი).
პარტიულ თემაზე. შ. კახიძე — ამბროლაურის რაიონის კომუნისტები მევენახეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში (მე-2 გვერდი).
ტ. თოდრაძე—რატომ ჩამორჩა [illegible] (მე-2 გვერდი).
ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა მეექვსე კომიტეტში 21 ნოემბერს აგრესიის განსაზღვრის საკითხზე (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია (მე-4 გვერდი).
გაიხსნა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის და რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გზა გავუკაფოთ ახალს, მოწინავეს!

○
„პრავდის" 24/XI მოწინავე
○

ჩვენი სამშობლოს ხალხები დიდი აღფრთოვანებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც შემუშავებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის მითითებებით შთაგონებული მშრომელთა უფართოესი მასები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თავიანთ შრომაში დაუშრეტელ შემოქმედებითს აქტივობას იჩენენ. მილიონობით საბჭოთა ადამიანს საკუთარ საქმედ მიაჩნია იბრძოლოს სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული დირექტივების წარმატებით შესრულებისათვის.

სოციალისტური წარმოების ინტერესებისათვის, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე მისი განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფისათვის ჩვენი ხალხის დაუცხრომელი ზრუნვა თვალსაჩინოდ ვლინდება იმით, რომ მძლავრ აღმავლობას განიცდის საწარმოო გეგმების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წარმატებითი შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

სოციალისტური შეჯიბრების აღმავლობა მკაფიოდ მოწმობს, რომ მშრომელები განუხრელად ისწრაფვიან განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში. სოციალისტური შეჯიბრება გამოხატავს საბჭოთა მუშების კულტურულ-ტექნიკური დონის განუწყვეტელ აღმავლობას, საბჭოთა მუშებისა, რომლებიც შემოქმედებითი შრომით წინ ეწევიან სოციალისტურ ეკონომიკას, ხელს უწყობენ მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავებას.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი კლასიკურ ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" წერს:

„რატომ მიიღო სოცშეჯიბრებამ მასობრივი ხასიათი? იმიტომ, რომ მუშებს შორის გამოჩნდნენ მთელი ჯგუფები ამხანაგებისა, რომლებმაც არა თუ აითვისეს ტექნიკური მინიმუმი, არამედ უფრო შორსაც წავიდნენ, ტექნიკური პერსონალის დონეზე დადგნენ, იწყეს ტექნიკოსებისა და ინჟინრებისათვის შესწორებათა მიცემა, არსებული ნორმების, როგორც დაძველებული ნორმების, დამსხვრევა, ახალი, უფრო თანამედროვე ნორმების შემოღება და სხვ. რა იქნებოდა, მუშების ცალკეულ ჯგუფებს კი არა, არამედ მუშების უმრავლესობას რომ აემაღლებინა თავისი კულტურულ-ტექნიკური დონე ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის დონემდე? ჩვენი მრეწველობა აყვანილი იქნებოდა ისეთ სიმაღლეზე, რომელიც მიუწვდომელია სხვა ქვეყნების მრეწველობისათვის".

ჩვენი ხალხი ძველთაგანვე განთქმულია თავისი შემოქმედებითი ინიციატივით, მოსაზრებულობით, გამომგონებლობით. სოციალისტურმა სისტემამ უზრუნველყო პიროვნების განთავისუფლება, ინდივიდუალური, კოლექტიური შემოქმედების აყვავება, შექმნა იმ ტალანტისა და ნიჭის ყოველმხრივი განვითარების პირობები, რომლებიც არის ხალხის მასების წიაღში.

მშრომელთა ინიციატივის განუწყვეტელი ზრდა ვლინდება მრავალი ახალი პატრიოტული თაოსნობით. მასების შემოქმედებითი აქტივობის ერთ-ერთი მაგალითია ი. ბ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის № 20 მარტენის ღუმელის კოლექტივის თაოსნობა. ამ ღუმელის მეფოლადეებმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს და, ისწრაფვიან რა ღირსეულად გამოეხმაურონ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში უფრო დიდი ვალდებულებანი იკისრეს. მათ პირობა დადეს უკვე წელს გეგმის გადამეტებით გამოადნონ ხუთი ათასი ტონა ფოლადი და სახელმწიფოს ასიათასი მანეთი დაუზოგონ.

მაგნიტოგორსკელმა ნოვატორმა მეტალურგებმა იკისრეს იმუშაონ ზუსტად გრაფიკის მიხედვით და ნადნობი გამოუშვან დაწესებული დაკვეთების თანახმად, ვადამდე მიაღწიონ მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის დაგეგმილ ფოლადის წარმოების დონეს და უზრუნველყონ წარმოების მთელი ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება. მეფოლადეების ამხ. ტვოროგოვის, აქშინცევის, სტაროსტინისა და № 20 მარტენის ღუმელის სხვა მოწინავეთა თაოსნობას იწონებს და მხარს უჭერს ი. ბ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მთელი კოლექტივი.

დონბასში ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს შახტ № 5-ბის „ტრუდოვსკაიას" ნოვატორებმა. მისმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დაწესებულ ვადაზე ერთი წლით ადრე მიაღწიოს შარშან ამუშავებული შახტის საპროექტო სიმძლავრეს და ამით მეხუთე ხუთწლედში ამოიღოს რამდენიმე ათეული ათასი ტონით მეტი ქვანახშირი, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით.

სამშობლოს ინტერესებისათვის პატრიოტული ზრუნვით ნაკარნახევია მოსკოვის ქარხანა „დინამოს" და ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილას" კოლექტივების თაოსნობა, რომლებმაც მოაწყეს საწარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინების საქმეში შემოქმედებითი გამოცდილების ურთიერთგაზიარება, რათა წარმატებით შეასრულონ მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებანი, კომუნიზმის დიად მშენებლობათა ყველა დაკვეთა.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას, მშრომელთა ფართო მასების საწარმოო აქტივობის ყოველი ღონისძიებით გაძლიერებას. ამ ამოცანების შესასრულებლად მიმართულია ყველა პარტიული ორგანიზაციის ღონისძიება. რაზმავენ რა საბჭოთა ადამიანებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების განხორციელებისათვის საბრძოლველად, პარტიული ორგანიზაციები მეთაურობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, თავიანთი ყოველდღიური ხელმძღვანელობით უზრუნველყოფენ მასების შემოქმედებითი ინიციატივის ზრდას.

ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ ცალკეული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ზერელედ, ხშირად კამპანიურად და ფორმალურად მუშაობენ შეჯიბრების საქმეში, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოწინავე გამოცდილების გავრცელებას. მაგალითად, ერთი წლის წინათ ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში ნოვატორებმა მჭედელმა ამხ. ოლეინიკომ და ტექნოლოგმა ამხ. პოზდეევმა დაიწყეს მოწინავე ტექნოლოგიის კომპლექსური დანერგვა. ამ ღონისძიებამ, რომელსაც ფართოდ დაუჭირეს მხარი ქარხანაში, შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად შეემცირებინათ შრომის დახარჯვა და დაეზოგათ ბევრი ლითონი, სათბობი, ელექტროენერგია. მაგრამ, როგორც სვერდლოვსკის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორთა ძვირფასი თაოსნობა დღემდე არ გავრცელებულა არა მარტო ოლქის საწარმოებში, არამედ თვით ქალაქ სვერდლოვსკშიც კი, სადაც ურალის მანქანათმშენებელი ქარხანაა.

უკვე დიდი ხანია ვერ ასრულებს საწარმოო გეგმას ჩვენი ქვეყნის ისეთი დიდი საწარმო, როგორიც არის ჩელიაბინსკის კიროვის ქარხანა. ამ ქარხნის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ აქ ნოვატორებს ჯეროვან დახმარებას არ უწევენ უწინარეს ყოვლისა ქარხნის დირექტორი ამხ. სკაჩკოვი, მთავარი ინჟინერი ამხ. კრაცინი, პარტკომი და საქარხნო კომიტეტი. აპრილში კომუნისტმა ტექნოლოგმა ამხ. ნორეცმა ინიციატივა გამოიჩინა ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის საქმეში. ამის მეოხებით მისმა ბრიგადამ 20 პროცენტით გაადიდა მოწყობილობის სიმძლავრეთა გამოყენება. ახმაურდნენ რა ახალი წამოწყების გარშემო, ქარხნის ხელმძღვანელებმა ეს საქმე თავსატეხად მიიჩნიეს და მალე დაივიწყეს.

ქარხანაში დავიწყებას მიეცა აგრეთვე სტალინური პრემიის ლაურეატის ინჟინერ-ტექნოლოგ ამხ. ივანოვის, უფროსი ოსტატის ამხ. პოპოვისა და სხვა მოწინავეთა დიდმნიშვნელოვანი თაოსნობა. ყველა ამ სერიოზული ნაკლოვანებისათვის მეტწილად ბრალი მიუძღვის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს. სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე არაერთხელ განუხილავთ მოწინავეთა ახალ თაოსნობასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ სამინისტრო ნაკლებად ზრუნავს წარმოებაში ძვირფას თაოსნობათა პრაქტიკულად დანერგვისათვის.

შარშან მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გაიგო, რომ მოსკოვის ფაბრიკა „ბურევესტნიკის" მუშები მარიამ ლევჩენკო და გრიგოლ მუხანოვი გამოვიდნენ თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის შეჯიბრების ინიციატორებად და ამ ნოვატორობისათვის მათ სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ. ამავე დროს ახლა, როგორც ამის შესახებ ამ დღეებში წერდა „მოსკოვსკაია პრავდა", ფაბრიკა „ბურევესტნიკის" ხელმძღვანელებმა შეასუსტეს ყურადღება ესოდენ მნიშვნელოვანი საქმისადმი, არ სწავლობენ და არ ავრცელებენ მას, ფორმალურად ხელმძღვანელობენ შეჯიბრებას.

საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორებისადმი, მათი საქმიანი თაოსნობისადმი ბიუროკრატული დამოკიდებულება. კომუნისტური პარტია მოითხოვს ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, მივაღწიოთ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ აღმავლობას.

„პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა, — ამბობდა ამხ. გ. მ. მალენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, — ის არის, რომ უფრო ფართოდ გააჩაღონ შეჯიბრება სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, მთელი ძალებით დაუჭირონ მხარი მუშაობის დადებით მაგალითებს და მოწინავეთა და ნოვატორთა პროგრესულ თაოსნობას, ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება მშრომელთა მთელ მასაში, რათა დაეხმარონ ჩამორჩენილთ ავიდნენ მოწინავეთა დონემდე".

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ უძრაობის, რუტინისა და დახავსებულობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, მტკიცედ გაკაფონ გზა ყოველი ახლის, მოწინავის, პროგრესულის გამარჯვებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება, მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაძლიერება იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ მეხუთე ხუთწლედის შესრულებისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიადი სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის.

იაპონიაში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში"

ტოკიო, 22 ნოემბერი. (ტასსი). ჟურნალ „ციუო კორონის" უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". ჟურნალი აქვეყნებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენების ნაწილს „საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა".

ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგოიაში გაიმართა საჯარო ლექციები, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

გეგმის შესრულება

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ნოემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმა, ცხვრისა—120,3 პროცენტით, ცხენისა—107,8 პროცენტით, ღორისა—119 პროცენტით.

27 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 7) მოწვეულია ქალაქ თბილისის პროფაქტივის კრება დღის წესრიგით:

პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით მოვიპოვოთ ახალი საწარმოო გამარჯვებები

მაღარომ წლიური გეგმა შეასრულა

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 20 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. მაღაროელები მარგანეცს მომავალი წლის ანგარიშში იძლევიან.

გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საკ. კორ.). მეცხოველეობის მუშაკებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შეასრულეს 113 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვისა—130, ცხენისა—197, ხოლო ფრინველისა—114 პროცენტით. საგრძნობლად გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 883 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 860 ლიტრისა.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვით აღფრთოვანებულმა კოლმეურნე მეცხოველეებმა ვალდებულება აიღეს კიდევ უფრო გააუმჯობესონ პირუტყვის მოვლა და მიმდინარე წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მიიღონ ათეულ ათასობით ლიტრი რძე.

მივცეთ სამშობლოს ციტრუსოვანთა მეტი ნაყოფი

ქობულეთი. (საკ. კორ.). ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. რ. მჟავანაძე) აჭარაში ციტრუსოვანთა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მეურნეობაა. მას აქვს 113,5 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია. ღირსშესანიშნავ დღეებში, როდესაც მეურნეობის კოლექტივი გულდასმით ეცნობოდა მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ მასალებს და დიდი სტალინის შთამაგონებელ სიტყვას, მან საპატიო დავალება მიიღო: მოეკრიფათ და მშრომელთა სადღესასწაულო სუფრისათვის მიეწოდებინათ 10 ტონაზე მეტი მანდარინის ნაყოფი. მეციტრუსეებმა ნაკისრი ვალდებულება ერთ კვირაზე ნაკლები დროის განმავლობაში სასახელოდ შეასრულეს. მოკრიფეს და შემფუთავ ქარხანას ჩააბარეს 12 ტონაზე მეტი მანდარინის ნაყოფი, რომელიც დაუყოვნებლივ გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ციხისძირელი მეციტრუსეები მომზადებული შეხვდნენ ნაყოფის მასობრივად კრეფის სეზონს. აქვთ საკრეფი ინვენტარი, შეკეთებულია საპლანტაციო გზები და ბოგირები, ავტოტრანსპორტი, ჩატარდა მკრეფავთა მოსამზადებელი კურს-კონფერენციები, რომლებიც 80 კაცმა გაიარა. მეციტრუსეებმა პირობა დადეს შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მთელი მოსავალი და სახელმწიფოს 9,4 მილიონი ცალის ნაცვლად ჩააბარონ სულ მცირე 10 მილიონი ცალი ნაყოფი.

ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა, რომელიც აღფრთოვანებულია ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებითა და მშობლიური სტალინის ისტორიული სიტყვით, საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

დეპოელებმა ენერგიული მუშაობით ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენის გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს და 0,8 პროცენტით გაზარდეს ტექნიკური სიჩქარე. საამაყო მაჩვენებლები მოიპოვა გარეცხვითი შეკეთების საამქრომ, რომელმაც 10 თვეში გეგმის გადამეტებით 86 ორთქლმავალი შეაკეთა. აწევითი შეკეთების საამქრომ გეგმის გადამეტებით ერთი ორთქლმავალი გამოუშვა და ორთქლმავლების მიმდინარე რემონტში დგომა შეამცირა 12 საათით, ხოლო საშუალო რემონტში დგომა — 24 საათით.

ამჟამად საორთქლმავლო დეპოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სტალინური კონსტიტუციის დღის ღირსეულად შეხვედრისათვის. საამქროებმა, ბრიგადებმა და ცალკეულმა მუშებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ბეჯითად შრომობს და შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებს სტახანოველ პ. მაზმიშვილის ბრიგადა, რომელმაც წლიური გეგმა 15 ნოემბრისათვის შეასრულა და ამჟამად მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ აგრეთვე ავტომატური მუხრუჭების შემკეთებელი და პირველი კომპლექსური ბრიგადები. ისინი დღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებენ და სისტემატურად აუმჯობესებენ შეკეთების ხარისხს.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს ზეინკლებმა გ. ხაჭაპურიძემ, რ. კოპალეიშვილმა, გ. თომაძემ, მექვაბეებმა ი. დემეტრაშვილმა, დ. ნოზაძემ, მჭედელმა ზ. ხეჩუაშვილმა და სხვებმა. ისინი უწუნოდ მუშაობენ და ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებენ.

მეავტომობილეები სტახანოვურ ვახტზე

ამ დღეებში თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა შეაჯამა საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულების შედეგები და ერთსულოვნად გადაწყვიტა გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ავტოშემკეთებლებმა იკისრეს ავტომანქანების შეკეთების წლიური გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის, ხოლო მშობლიური ბელადის დიდი სტალინის დაბადების დღის — 21 დეკემბრისათვის შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვან 50 ავტომანქანა, ამასთანავე გეგმასთან შედარებით 5,5 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, 3 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და დაზოგონ 18 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

— საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით უმაგალითო მიღწევები მოიპოვა, — განაცხადა სტახანოველმა ზეინკალმა ვ. სიდამონიძემ. — პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებები ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის სტალინური პროგრამაა. ამ პროგრამის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლა ყოველი საბჭოთა მოქალაქის წმიდა მოვალეობაა. პირადად მე ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 250 პროცენტით შევასრულო.

სტახანოველის სიტყვა საქმეს არ სცილდება. 18 ნოემბერს ცვლის დავალება ვ. სიდამონიძემ 361 პროცენტით გაანაღდა.

მაღალი შრომითი აქტივობით გამოირჩევა მექანიკური საამქროს ხარატი თ. პეტრუკი, რომელიც წარმატებით იყენებს ლითონის ჭრის ჩქაროსნულ მეთოდებს და დღითიდღე ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ჩქაროსანი ხარატი საოქტომბრო შეჯიბრების პერიოდში დღიურ დავალებას 250 პროცენტით ასრულებდა. ამჟამად მან კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობის მეთოდი და დღეში სამ ნორმას ასრულებს.

სტახანოვურ ვახტზე დგანან და დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ზეინკალი ა. მუხიგულაშვილი, ხარატი თ. კოვალი და სხვები.

მექანიზატორთა წარმატება

ქუთაისის მტს-ის მექანიზატორებმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა ათი თვის დავალება. ტრაქტორისტებმა მოხნეს 24.639 ჰექტარი.

პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც გ. მუშკუდიანი ხელმძღვანელობს, წლიური გეგმის გადამეტებით მოხნა 341 ჰექტარი. ამასთან დაზოგა 3.789 კილოგრამი საწვავი. სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს და საწვავი დიდი რაოდენობით დაზოგეს აგრეთვე მეორე, მესამე და მეხუთე სატრაქტორო ბრიგადებმა (ხელმძღვანელები თ. გიგიაძე, მ. წიქორიძე და ს. გაგოშიძე), ტრაქტორისტებმა დ. ხაინდრავამ, რ. გაგოშიძემ, გ. გაბუნიამ, დ. კაკუშაძემ.

მტს-ში მიმდინარეობს ტრაქტორების რემონტი. ოქტომბერში კაპიტალურად შეკეთდა 3 ტრაქტორი, 2 გუთანი, სათესი მანქანა და კულტივატორი.

ქობულეთელ და სამტრედიელ კოლმეურნეთა შეჯიბრება

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან

— ძვირფასო ამხანაგებო! დიდი ხანი არ არის, რაც სამტრედიის რაიონის სოფელ ოქტომბერში ახალი ოჯახი შევქმენი. ისევე, როგორც ჩემს ძველ საცხოვრებელ ადგილზე, აქაც მთელი ენერგიით ჩავები საკოლმეურნეო შრომაში და შევუდექი ჩაის კრეფას იმ მეთოდით, რაც თქვენგან წლების მანძილზე შევისწავლე... წელს ჩემთვის მოსავლელად მიჩენილი ჩაის პლანტაციაში ყველა სამუშაოებს აგროტექნიკურ ვადებში ჩავატარებ, ნახევარ ჰექტარზე უზრუნველვყოფ სულ მცირე 3,5-4 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მიღებას.

გწერთ რა წერილს, ჩემო თანასოფლელებო, გიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის. მივცეთ ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების საქმეს. — ასეთი წერილი მისწერა რაიონულ გაზეთ „სოციალისტური შეტევის" საშუალებით სამტრედიის რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" სახელოვანმა მეჩაიემ თამარ ხალვაშმა ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა ულიანოვკის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის სახელმოხვეჭილ მკრეფავებს — ს. ხალვაშს, ზ. დოლიძეს, ფ. სურმანიძეს და ზ. დოლიძეს. ეს იყო მიმდინარე წლის მაისში.

თამარ ხალვაშის წერილმა მის თანასოფლელებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ქობულეთელმა კოლმეურნეებმა თავის მხრივ რაიონულ გაზეთ „ქობულეთელ კოლმეურნეში" საპასუხო წერილი დაბეჭდეს არა მარტო თამარ ხალვაშის, არამედ კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" წევრთა მთელი კოლექტივის სახელზე. მათვე გამოთქვეს სურვილი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრება გაეშალათ ორივე რაიონის კოლმეურნეთა შორის. ასეც მოხდა. მიმდინარე წლის ივნისში ზედაულიანოვკელ კოლმეურნეთა დელეგაცია სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა გასაფორმებლად ეწვია სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეებს, რომლებმაც მათი გამოწვევა მიიღეს.

ასე საქმიანად გაჩაღდა ორი რაიონის ორი სოფლის კოლმეურნეთა შეჯიბრება.

ულიანოვკელი და სამტრედიელი კოლმეურნეები წლევანდელი არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად დაძაბულ შრომას ეწეოდნენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად. ისინი გზადაგზა ურთიერთ მიმოწერით ერთმანეთს ატყობინებდნენ აღებული ვალდებულების შესრულების მიმდინარეობას.

— ულიანოვკელი და სამტრედიელი კოლმეურნეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვას. ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის სიტყვის პასუხად ორივე კოლმეურნეობის წევრებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება იკისრეს.

შრომის სწორად მოწყობის შედეგად ულიანოვკელმა და ოქტომბრელმა კოლმეურნეებმა პირნათლად შეასრულეს თავისი სიტყვა. ამას წინათ სამტრედიის რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" დელეგაცია ნაკისრი ვალდებულების შემოწმების მიზნით ქობულეთის რაიონის სოფელ ზედაულიანოვკის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობას ეწვია. გამოირკვა, რომ ულიანოვკელმა და ოქტომბრელმა კოლმეურნეებმა გადამეტებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა.

წლის ბოლოს სამტრედიელი და ქობულეთელი კოლმეურნეები საბოლოოდ შეაჯამებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების საქმეში მათ მიერ გაწეული თავდადებული შრომის შედეგებს. ისინი ახალი წარმატებით აღნიშნავენ მიმდინარე სამეურნეო წელს.

ვ. კოპალეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო პროფსაბჭოს IX პლენუმი

ამ დღეებში გაიმართა პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მორიგი IX პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ და მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

* * *

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა ყრილობაზე და მისი ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ წარმოადგენენ ხალხთა ნათელი მომავლისათვის შემდგომი ბრძოლის დიად პროგრამას, შთააგონებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს თავდადებით იშრომონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელებს აღაფრთოვანებენ ხალხთა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, — ნათქვამია პლენუმის გადაწყვეტილებაში, — გათვალისწინებულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება. გეგმა ითვალისწინებს ნაციონალური შემოსავლის ზრდას, მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდებას. მნიშვნელოვნად დიდდება საბინაო მშენებლობისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლებისათვის განკუთვნილი ასიგნობები.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა წინადადება მისცა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დადგენილებებით.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიებით უნდა განავითარონ და პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ წარმართონ მშრომელთა ფართო მასების შრომითი აღმავლობა და შემოქმედებითი ინიციატივა. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება თვითეული საწარმოს მიერ გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განუხრელად განხორციელებისათვის, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა მხარი უნდა დაუჭირონ წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მუშაობის დადებით წამოწყებებს. პლენუმმა წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს მეტი ყურადღება მიაქციონ შრომის ნაყოფიერების გადიდების, მუშათა და მოსამსახურეთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობის, საწარმოებში შრომის პირობების შემსუბუქებისა და შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. პლენუმმა დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა, გააძლიერონ მომთხოვნელობა, რომ სამეურნეო ორგანიზაციები ასრულებდნენ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმებს.

პლენუმმა ურჩია პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაჩაღონ მუშაობა იმისათვის, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს განუმარტონ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა ყრილობაზე, ამასთან ეს მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც ახალ ხუთწლედში დასახულია თვითეული საწარმოს, მშენებლობის, დაწესებულების კოლექტივის წინაშე. პლენუმმა დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა მშრომელებში, აამაღლონ პროფკავშირული კლუბების, სასახლეების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების მუშაობის დონე, დაეხმარონ მუშებსა და მოსამსახურეებს მათი ზოგადი და ტექნიკური განათლების ამაღლებაში. მათ ხელი უნდა შეუწყონ სახალხო განათლების ორგანოებს, რათა შეასრულონ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები საყოველთაო საშუალო განათლებასა და პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლის შესახებ.

პლენუმმა დაავალა პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კომიტეტებსა და საბჭოებს აამაღლონ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონე, უფრო ფართოდ ჩააბან მუშაობაში პროფკავშირული აქტივი, დაეყრდნონ მას მთელ თავიანთ საქმიანობაში. ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით განავითარონ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა, ფხიზლად გამოეხმაურონ მუშებისა და მოსამსახურეების წინადადებებს.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა მოუწოდა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს მთელი თავიანთი ენერგია და ცოდნა მოახმარონ იმ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა და თავდადებული შრომით უზრუნველყონ ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს აღუთქვა, რომ პროფესიული კავშირები მთელ ძალღონეს მოახმარენ პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებასა და მისი ძლიერების განმტკიცებას, კომუნიზმის გამარჯვებას. (საქდესი).



ლაფნის ბოჭკოს ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (მოსკოვი) ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ხ. ა. დინიკმა გამოიგონა ახალი სისტემის საფეიქრო დაზგა — მრგვალი საფეიქრო მანქანა. არსებული საფეიქრო დაზგებისაგან განსხვავებით, ამ მანქანაში მაქო განუწყვეტლივ მოძრაობს წრიულად, რაც ქსოვილის გამოშვების შესამჩნევად გადიდების საშუალებას იძლევა. მრგვალი საფეიქრო მანქანის პირველი სამრეწველო ნიმუში წარმატებით მუშაობს პუშკინის სართავ-საქსოვ ფაბრიკა „სერპ ი მოლოტში“ (მოსკოვის ოლქი). კლიმოვსკის მანქანათმშენებელი ქარხანა შეუდგა დინიკის სისტემის საფეიქრო მანქანების სერიულ გამოშვებას. **სურათზე:** ფაბრიკა „სერპ ი მოლოტის“ საფეიქრო საამქროში. სტახანოველი ნ. ა. დერიაჟენცევა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ხ. ა. დინიკი მრგვალ საფეიქრო მანქანასთან.

ფოტო ვ. შაროვსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში

(რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე)

მხურვალე გამოხმაურება რუსთავის მეტალურგების მოწოდებაზე

რუსთავის მეტალურგების მოწოდებას ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეტალურგებისადმი — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, მხურვალედ გამოეხმაურნენ ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. ალავერდელმა მეტალურგებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რუსთაველთა ინიციატივას.

ქართველი მეტალურგების საპასუხოდ ახალი, გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს ალავერდელ მეტალურგთა მოწინავე წარმომადგენლებმა — უფროსმა მდნობელმა ს. დავიდანიანმა, ოსტატმა ნ. გრუცინმა, ბრიგადირმა ს. ალექსანიანმა, ცვლის უფროსმა მ. აირაპეტიანმა და სხვებმა.

ალავერდელმა მეტალურგებმა თავიანთ ქართველ თანამოძმეებს რუსთავში წერილი გაუგზავნეს და შეატყობინეს, რომ იბრძოლებენ რუსთაველ მეტალურგებთან შეჯიბრებაში პირველობისათვის.

(„კომუნისტი“. ერევანი).

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგი

რიგის ტურბინმშენებელი მექანიკური ქარხნის კოლექტივისა და ძერჟინსკის სახელობის საკავშირო თბოტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ უკვე მოგვცა პირველი, მეტად საყურადღებო შედეგი.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა შეძლეს ახალი კონსტრუქციის წიბოვანი მილების დამზადება ელექტროსადგურებში გამოსაყენებლად. ასეთ მილებს ელექტროსადგურებში იყენებენ ცხელი ჰაერის გადამცემი სისტემის მოსაწყობად. რიგის ტურბინმშენებელი მექანიკური ქარხნის კოლექტივის მიერ გამოშვებული ამ ახალი კონსტრუქციის წიბოვანი მილების შიგნითა კუთხეების მოყვანილობა ისეთია, რომ ერთ მილს შეუძლია გაატაროს საგრძნობლად მეტი სითბო და ამის შედეგად ელექტროსადგურებში ცხელი ჰაერის გადამცემი სისტემისათვის მილები ერთიორად ნაკლები რაოდენობით არის საჭირო.

(„სოვეტსკაია ლატვია“).

მუსიკალური სკოლა მუშებისათვის

ოდესაში არსებობს სპეციალური მუსიკალური სკოლა ნიჭიერი მუშა ახალგაზრდებისათვის, რომლებიც იჩენენ ლტოლვას მუსიკის შესწავლისადმი. ამჟამად სკოლაში ოდესის საწარმოთა 300-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა სწავლობს. ერთ-ერთ სახელოსნო სასწავლებელში კურსდამთავრებული შემლესავი ქალი ზინაიდა სალიი მომავალ ზაფხულზე უკვე დაამთავრებს ამ სკოლის ვოკალურ განყოფილებას. მას მშვენიერი ხმა აქვს. საუკეთესო ხმა აღმოაჩნდა ოდესის მექანიკურ ქარხანაში მეთუნუქედ მომუშავე მიხეილ კუზმინს, საკონდიტრო ფაბრიკის სტახანოველს მიხეილ კრუტელნიცკის, ხე-ტყის კომბინატის ზეინკალს ლეონიდ პონტოვს და სხვებს.

დიდი ხალისით და მონდომებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ამ სკოლაში ოდესის სხვა საწარმოთა მუშებიც. ბევრი მათგანი მუსიკალური ხელოვნების დაუფლებაში იშვიათ უნარს იჩენს.

(„პრავდა უკრაინი“).

რატომ ჩამორჩა მზრალად ხვნა?

მზრალად ხვნა მოსავლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა, იგი ხელს უწყობს ნიადაგში ტენისა და საკვებ ნივთიერებათა დაგროვებას, აჩქარებს და აადვილებს საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებას, აუმჯობესებს ნიადაგის თვისებებს. მზრალად მოხნულზე ნათესი კულტურები უკეთ იტანენ გაზაფხულისა და ზაფხულის გვალვებს. ამიტომ მომავალ წელს უხვი მოსავლის მისაღებად საგაზაფხულო კულტურები ძირითადად მზრალად მოხნულზე უნდა დაითესოს.

წელს ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებში მზრალად უნდა მოიხნას 3.500 ჰექტარი. მაგრამ ამ სამუშაოს რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, დაუშვეს გაცდენები, საქმის მორიგეობით შესრულების მავნე პრაქტიკა. ამის შედეგია, რომ მიმდინარე თვის პირველი ნახევარი ისე გავიდა, რომ გეგმა ერთი მეშვიდედითაც არ შესრულებულა, ხოლო 20 ნოემბრისათვის დავალება მხოლოდ 17,3 პროცენტით იყო განაღდებული.

ნოემბრის მესამე ხუთდღიურში კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობას მზრალად ხვნა არ უწარმოებია. მეტიც—32 კოლმეურნეობიდან, რომლებსაც მზრალად ხვნის გეგმა აქვთ, 20 კოლმეურნეობას სეზონის დაწყებიდან 16 ნოემბრამდე ერთი ჰექტარიც არ მოუხნავს. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც შემდგომ დღეებში იყო.

მთელ რიგ კოლმეურნეობებს, მაგალითად, სოფელ ზემო ხოდაშნის, ოჟიოს, ხორხელის, ქისტაურის, ოსიაურის, ახმეტის და სხვა, რომელთაც მზრალად ასობით ჰექტარის მოხვნა ევალებათ, თითქმის არაფერი გაუკეთებიათ.

სოფელ ხორხელის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. გაუარაშვილი) ჩამორჩა როგორც სხვა, ისე მზრალად ხვნის სამუშაო. სოფელ ოჟიოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გათვალისწინებული ასეული ჰექტარი ნიადაგი მოუხნავია, ხოლო ზემო ხოდაშნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 300 ჰექტარიდან მხოლოდ 45,5 ჰექტარი დაამუშავეს. ასეთი მაგალითი რაიონში გამონაკლისი როდია. მთელ რიგ კოლმეურნეობებშიც ხელიდან უშვებენ ხვნის საუკეთესო ვადებს.

შეიძლება დავასახელოთ ფაქტები, როცა მუშაობის ერთნაირ პირობებში, სადაც მონდომებაა, დავალებაც წარმატებით სრულდება, იქვე მეზობლად კი უმოქმედობის გამო გეგმის შესრულებაში ჩამორჩენაა.

მზრალად ხვნაზე მთელი უნარით არ მუშაობს ახმეტის მტს-ი (დირექტორი ამხ. მ. ცქიფურიშვილი). ხვნა მან თავისი მომსახურების კოლმეურნეობათა მხოლოდ ნახევრის ფართობებზე დაიწყო, მაგრამ აქაც ბევრგან საჭირო შედეგს ვერ მიაღწია. ხვნაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ შ. ბლიაძის, ვ. გახუტიშვილის, გ. მამუკელაშვილის სატრაქტორო ბრიგადები.

სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ნ. უთურგაიძის სატრაქტორო ბრიგადა მუშაობს, ამას წინათ უწესივრობის გამო ორი ტრაქტორი მომცდარი იყო. ტრაქტორისტი შ. ბლიაძე თითქმის ორი კვირაა პირად საქმეზე უნებართვოდ წავიდა და სამუშაოს აცდენს. გვხვდება სამუშაოთა ცუდად შესრულების ფაქტიც.

მტს-ის მუშაობას ისიც უშლის ხელს, რომ 15 ტრაქტორზე არა ჰყავთ შემცვლელი ტრაქტორისტები. ამიტომ თვითეულ მანქანას დღე-ღამეში 20 საათის ნაცვლად მხოლოდ 10-15 საათს ამუშავებენ. გარდა ამისა, მტს-ს აკლია 300-მდე სახნისი და ტრაქტორების მთელი რიგი სათადარიგო ნაწილები. ცუდად მუშაობს მტს-ის მოძრავი სახელოსნო. მოუგვარებელია ველად ტრაქტორისტების საბინაო პირობები და კვება.

როგორც წესი მოითხოვს, საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ მზრალად ხვნის დროს ადგილობრივი და მინერალური სასუქების შეტანას ფართობებში. ამ სავალდებულო ღონისძიების გატარება ახმეტის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში დაივიწყეს. რაიონს საწყობებიდან და თელავის რკინიგზის სადგურიდან გაუტანელი აქვს 1.500-მდე ტონა მინერალური სასუქები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აქვთ სასუქები გაუტანელი სოფელ დუისის, ყვარელწყალის, ახშაანის, მაღრაანის, ახმეტის მარქსისა და პირველი მაისის სახელობის, აგრეთვე მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს.

მზრალად ხვნის სამუშაოებში დიდი ჩამორჩენაა თელავის რაიონშიც. აქ გეგმით გათვალისწინებული 3.000 ჰექტარიდან მხოლოდ 104 ჰექტარი მოხნეს. როგორც მტს-ებს, ისე კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს ბევრგან მზრალად ხვნა არ დაუწყიათ. მტს-ების სატრაქტორო პარკისა და კოლმეურნეობათა მუშა-პირუტყვის სათანადოდ გამოუყენებლობის გამო გეგმის შესრულება ჭიანურდება.

თელავის რაიონის კოლმეურნეობებიც ჩამორჩნენ მინერალური სასუქების გატანაში. საწყობებიდან წაუღებელი აქვთ 1.000-მდე ტონა სასუქი, აქედან სასუქის დიდი ნაწილი არ წაუღიათ სოფელ ფშაველის XVIII პარტყრილობის სახელობის, ნაფარეულის ბერიას სახელობისა და წინანდლის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობებს.

სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ჭიბალაშვილი) სუსტი მუშაობის გამო თვითეულ ჰექტარზე 15 და მეტი ცენტნერის ნაცვლად შარშან და წელს 8,8—9,3 ცენტნერზე მეტი ხორბალი არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, ახლაც ნაკლებად ზრუნავენ მომავალი წლის მოსავალზე—კოლმეურნეობაში ხშირად მომცდარია მუშა-პირუტყვი, დიდი რაოდენობით აუთვისებელია ყამირი, საწყობებიდან გაუტანელია ათობით ტონა სასუქები.

თელავისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ დააჩქარონ მზრალად ხვნა, მთლიანად გამოიყენონ მინერალური სასუქები, დროზე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ გეგმები.

ტ. თოდრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

პარტიულ თემაზე

ამბროლაურის რაიონის კომუნისტები მევენახეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე სტალინური ხუთწლედის შესახებ ერთ-ერთ ამოცანად დასახულია მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი აღმავლობა. ამასთან დაკავშირებით ახალ ხუთწლედში სერიოზული ამოცანები დგება ამბროლაურის რაიონის პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ამბროლაურელი მევენახეები ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი რაოდენობით აძლევენ მაღალხარისხოვან სამარკო ღვინოებს.

ვენახებს რაიონში ასობით ჰექტარი უჭირავს. ამ ძვირფასი კულტურით მიღებული შემოსავალი ამბროლაურელ კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მევენახეობის განვითარების შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ჩვენს რაიონში გაცილებით უფრო ფართოა.

უკანასკნელ ხანს პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას აქცევენ მევენახეობის განვითარებას. ახალი ვენახების გაშენებისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის განსაკუთრებით კარგად მუშაობენ სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის, სოფელ სადმელის სტალინის სახელობის და რაიონის სხვა კოლმეურნეობები. წელს რაიონში 23 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა. ამჟამად კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მუშაობა მომავალ წელს სავენახე ნიადაგის პლანტაჟის გეგმის წარმატებით შესასრულებლად. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ახალი სტალინური ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონში საკოლმეურნეო ვენახების ფართობი ავიყვანოთ 1.364 ჰექტარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთწლედის მანძილზე გაშენებულ უნდა იქნას 362 ჰექტარი ახალი ვენახი, ამასთან წარმოებაში დაინერგოს ვაზის ყველაზე უფრო ძვირფასი ჯიშები.

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების შედეგად წელს შესამჩნევად გაუმჯობესდა ვენახების მოვლა-პატრონობის საქმე. მევენახეები იყენებენ აგროტექნიკურ მიღწევებს, ფართოდ ვრცელდება ყურძნის მაღალი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ყურძნის მოსავლიანობა. რაიონში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა, რომელმაც წელს თვითეულ ჰექტარზე 50-55 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

ამბროლაურის რაიონის კომუნისტების გადაუდებელი საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის თვითეულ ჰექტარზე 60-65 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ.

მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები ფილოქსერის გამძლე ვაზის ლერწის მიღების გასადიდებლად. ამისათვის საჭიროა ვაზის სადედეების ფართობი ყოველწლიურად ვზარდოთ ისე, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის მან 36 ჰექტარს მიაღწიოს, ამასთან თვითეული ჰექტარიდან მიღებულ უნდა იქნას 110 სანტიმეტრის სიგრძის 25 ათასი ცალი საძირე ლერწი.

ჩვენი რაიონის მევენახეებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ ყოველწლიურად ერთ მილიონ ცალზე მეტი ვაზი დაამყნონ და მიაღწიონ პირველი ხარისხის დაფესვიანებული ნამყენი ნერგის სულ მცირე 55-60 პროცენტის გახარებას. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მევენახე სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესებით. ამ მიზნით რაიონში მევენახეობის ყველა კოლმეურნეობაში მოწყობილია სამწლიანი აგრონომიული კურსები, სადაც ასობით მევენახე სპეციალობას ეუფლება და მიღებულ ცოდნას ფართოდ იყენებს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. ყოველივე ეს მტკიცე პირობას ქმნის მეხუთე ხუთწლიანი გეგმით მევენახეობის დარგში დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

რაიონში 1950 წლიდან დავიწყეთ ვენახების შპალერზე გადაყვანა. ორი წლის განმავლობაში შპალერზე გადაყვანილია 160 ჰექტარი ვენახი. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა ხუთწლედის ბოლოსათვის უზრუნველვყოთ ვენახების შპალერზე მთლიანად გადაყვანა, რადგან იგი, ყურძნის მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, ხელს უწყობს ტყის დაცვას განადგურებისაგან და დიდი რაოდენობით ათავისუფლებს მუშახელს ჭიგოს დამზადების, მოზიდვისა და ვაზისათვის შედგმის სამუშაოებისაგან.

მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მოსავლიანობის ზრდის საქმეში მეტად დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილებამ „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

რაიკომის ლექტორ-მომხსენებლების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების საშუალებით ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების ყველა მევენახემდე და მშრომელამდე დაყვანა მძლავრი სტიმული გახდა კოლმეურნეთა მაღალნაყოფიერი შრომისა და ყურძნის მოსავლის გასადიდებლად. 1940 წელთან შედარებით წელს რაიონში თვითეულ ჰექტარზე 5-7 ცენტნერით მეტი ყურძენი იქნა მიღებული. ფართო სააგიტაციო-მასობრივი მუშაობისა და მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების შედეგად გამრავლდა ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები. აღსანიშნავია, რომ ძირაგეულის, მუხლის, სადმელის, ხვანჭკარის, ხიდიკარისა და სხვა კოლმეურნეობებმა თვითეული ჰექტარიდან წელს 60-70 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ხოლო ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა 75-80 ცენტნერამდე მოიყვანეს.

რაიონში ფართოდ არიან ცნობილი მოწინავე მევენახეები ვ. მაჭანკალაძე, კ. ნატმელაძე, თამარ ბარსონიძე, გალაქტიონ ნიკოლაშვილი (ხიდიკარის კოლმეურნეობა), დ. ვაწაძე (ჩორჯოს კოლმეურნეობა) და სხვები, რომლებიც ყურძნის მოსავლის დარგში სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან მოწინავე მევენახეების გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგიტატორები, წამკითხველ-მესაუბრეები და კედლის გაზეთები.

მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ. ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს ბრძოლას ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ნაკლებად ზრუნავს მოწინავე მევენახეთა გამოცდილების გავრცელებლად. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ამბროლაურის, ჭრებალოს, კრიხის, ღვარდიის, ლადიშის და სხვა კოლმეურნეობებში თვითეულ ჰექტარზე 20-21 ცენტნერზე მეტ ყურძენს ვერ იღებენ. აღნიშნულ კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ვაზის კულტურას, მევენახეობაში არ ნერგავენ მოწინავე აგროტექნიკურ მიღწევებს, ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ ვენახებში დროულად შეიტანონ ორგანული და მინერალური სასუქები.

მეხუთე სტალინურ ხუთწლედში მევენახეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს გააძლიერონ ბრძოლა იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობა გადააქციონ ყურძნის უხვი მოსავლის კოლმეურნეობებად, შემდგომ გაზარდონ ვენახების ფართობი.

ამბროლაურელი მევენახეები ახალ სტალინურ ხუთწლედში ვენახების საერთო ფართობის გადიდებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ „ხვანჭკარის“ ღვინის მომცემი ვაზის გაშენებას რაიონის დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში (ხვანჭკარა, ჩორჯო, ჭრებალო, ბუგეული, ბოსტანა, ხიდიკარი, სადმელი და სხვა), სადაც ყველაზე უკეთესი პირობებია მევენახეობის განვითარებისათვის. ეს გარემოება რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს საქმიანად დაეხმარონ კოლმეურნეობათა გამგეობებს მათ წინაშე დასახული ამოცანების ღირსეულად შესრულებაში.

ჩვენს რაიონში მტკიცე ბაზაა შექმნილი ყურძნის გადამუშავებისათვის. მაგალითად, ხვანჭკარის, ჭრებალოსა და ამბროლაურის ღვინის ქარხნებს ყოველწლიურად შეუძლიათ გადაამუშაონ 30.000 ცენტნერი ყურძენი და გამოუშვან 200 ათასი დეკალიტრი ღვინო. ქარხნებში ყურძნის მიღება-გადამუშავების ყველა სამუშაო მექანიზებულია.

ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულმა შთამაგონებელმა სიტყვამ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანა ამბროლაურის რაიონის მშრომელები. ყველგან — საკოლმეურნეო მინდვრებსა და ვენახებში, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. რაიონმა დამზადებათა წლიური სახელმწიფო გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. ვადამდე სამი თვით ადრე შევასრულეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმა. შექმნილია ყველა პირობა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. პარტიული ორგანიზაციები აქედანვე მტკიცე საფუძველს უყრიან მარცვლეული კულტურების და ყურძნის უხვ მოსავალს 1953 წლისათვის.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შედეგების განხილვას მიეძღვნა, ამხ. ა. ი. მგელაძემ აღნიშნა, რომ „სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მევენახეობასა და მეხილეობას. თუმცა ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობები უმნიშვნელოდ დიდდება, მაგრამ სამაგიეროდ უნდა მივაღწიოთ მათი მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებას“. ჩვენი რაიონის კომუნისტები ძალღონეს არ დაზოგავენ იმისათვის, რომ ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაზარდონ ყურძნის მოსავლიანობა.

ამბროლაურის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, გადაჭრით ასწორებენ მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და ყველა ღონისძიებას ხმარობენ კოლმეურნეთა დასარაზმავად მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

შ. კახიძე,
საქართველოს კომუნისტური პარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

მეექვსე კომიტეტში 21 ნოემბერს აგრესიის განსაზღვრის საკითხზე

1933 წელს განიარაღების კონფერენციაზე გამოსვლაში, რომელიც უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ, ბ-ნმა იდენმა აგრესიის განსაზღვრის წინადადებისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებაში დაიმოწმა „ფრიად პატივცემული სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ინგლისის წარმომადგენელი იყო ერთა ლიგის საბჭოში მრავალი წლის მანძილზე". ამ ფრიად პატივცემულმა მოღვაწემ განაცხადა, რომ აგრესიის განსაზღვრა „მახე იქნებოდა უდანაშაულოთათვის და საფარი დამნაშავეთათვის".

ეს ფრიად პატივცემული სახელმწიფო მოღვაწე იყო ყველასთვის ცნობილი ოსტინ ჩემბერლენი, რომლის პოლიტიკის რეაქციული და აგრესიული ხასიათი კარგად არის ცნობილი.

სავსებით გასაგებია, რომ ისეთი პოლიტიკური მოღვაწეების ხელმძღვანელობით, როგორიც რობერტ სესილი და ოსტინ ჩემბერლენი იყვნენ, არ შეიძლებოდა გვქონოდა იმედი, რომ ინგლისის დიპლომატია მხარს დაუჭერდა ისეთ ღონისძიებათა შემუშავების ცდებს, რომლებიც გააადვილებდნენ აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც ძნელია ვიქონიოთ იმედი, რომ ასეთ ღონისძიებებს მხარს დაუჭერენ მათი ახლანდელი მონაწილენი.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები მტკიცედ იბრძვიან აგრესიის რაიმე განსაზღვრის წინააღმდეგ, ცდილობენ რა თეორიული საფუძველიც ჩაუყარონ თავიანთ პოზიციას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ამჯერად თავი შეიკავა იმისაგან, რომ ვრცლად ჩამოეყალიბებინა თავისი თვალსაზრისი აგრესიის განსაზღვრის საკითხზე, რომელსაც მე-6 კომიტეტი იხილავს. ამასთან მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ საეჭვოდ ხდიან იმ ცდების კეთილგონიერებას, რომ ამ სესიაზე გაგრძელდეს მუშაობა აგრესიის განსაზღვრისათვის. იმ ცოტა რამიდან, რაც მან ამჯერად თქვა, ჩანს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლად არ მიაჩნიათ მხარი დაუჭირონ ისეთ განსაზღვრას, რომელიც არ მოიცავს აგრესიის ყველა შესაძლებელ შემთხვევას. მან მოითხოვა, როგორც კი შეიძლებოდა გაგვეგო მისი ნათქვამი, დავეჯერდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 39-ე მუხლის ტექსტს, რომელშიც ნათქვამია, რომ „უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისადმი ყოველი საფრთხის, მშვიდობის ყოველი დარღვევის ან აგრესიის აქტის არსებობას". ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის აზრით, სამივე ეს ცნება არ შეიძლება ზუსტად და ყოვლისმომცველად განისაზღვროს და რომ ამის გამო არ არსებობს საფუძველი ვეცადოთ განვსაზღვროთ აგრესიის ცნება უფრო მეტად, ვიდრე ეს შეიძლებოდა „მშვიდობისადმი საფრთხის" ან „მშვიდობის დარღვევის" ცნებათა განსაზღვრის შესახებ.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ 1945 წელს ამერიკის შეერთებული შტატები იცავდნენ სხვა თვალსაზრისს — ისეთს, რომელსაც ამჟამად მხარს უჭერს საბჭოთა კავშირი. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გულახდილად განაცხადა, შეერთებული შტატების მიერ ამ საკითხში პოზიციების ასეთი შეცვლა იმით აიხსნება, რომ ამჟამად „საერთაშორისო ურთიერთობის ვითარება ისეთი გახდა, რომ ამ ვითარებამ დაარწმუნა ამერიკის შეერთებული შტატები, რომ აგრესიის განსაზღვრა არა მარტო არასასურველი, არამედ საშიშიც კი გახდა". ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პოზიცია „იმ პოზიციის დიამეტრალურად საწინააღმდეგო, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს 1945 წელს ეკავათ", სწორედ საერთაშორისო ამბებით აიხსნება.

ამრიგად, მთელი საქმე ამოიწურება „ახლანდელი საერთაშორისო ამბებით", რომელთა ცენტრში, როგორც ცნობილია, არის აგრესიის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები და რომლის მიზანია ახალი მსოფლიო ომის მომზადება მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად.

4. ფაქტების უხეში დამახინჯება კრიტიკის სახით

მიუხედავად ასეთი გულახდილი აღიარებისა, ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები მაინც ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს მზად არიან განაგრძონ მოსამზადებელი მუშაობა აგრესიის განსაზღვრისათვის, თუმცა საეჭვოდ მიაჩნიათ მისი წარმატება. ამასთან ისინი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ამ მუშაობისადმი, რასაც ფარავენ სხვადასხვა მოტივით, რომელთა ყალბი და ნაძალადევი ხასიათი არ შეიძლება თვალში არ გვეცეს. ასეთი მოტივია, როცა აღნიშნავენ — აგრესიის კონცეფციის ბუნება ისეთია, რომ შეუძლებელია მისი ზუსტად განსაზღვრა და რომ ასეთი განსაზღვრა თუ ვცადეთ, უნდა გამოვიყენოთ ტერმინები, რომლებიც თვითონ მოითხოვენ განსაზღვრას, რაც რაღაც დაუძლეველ სიძნელეს ქმნისო.

ამ საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა არგუმენტაციის სრული უსაფუძვლობა რომ ცხადვყოთ, შეგვიძლია გავიხსენოთ აგრესიის განსაზღვრა, რომელიც 1933 წლის 6 თებერვალს წარადგინა საბჭოთა დელეგაციამ, და მთელი რიგი კონვენციები აგრესიის განსაზღვრის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ამ განსაზღვრის პრინციპების საფუძველზე 1933 წლის 3-5 ივლისს დადო ლატვიასთან, იტალიასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, თურქეთთან, ირანთან, ავღანეთთან, ჩეხოსლოვაკიასა და ლიტვასთან, აგრეთვე ისეთი კონვენციები, როგორიც არის ამერიკის ქვეყნების ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ (რიო-დე-ჟანეირო, 1947 წლის 2 სექტემბერი) და სხვ.

მარტო ეს სრულიად აბათილებს ინგლისის წარმომადგენლის მტკიცებას, თითქოს „აგრესიის კონცეფციის ბუნება ისეთია, რომ შეუძლებელია მისი ზუსტად განსაზღვრა" და რომ თითქოს, ასეთი განსაზღვრა თუ ვცადეთ, უნდა გამოვიყენოთ ტერმინები, რომლებიც თვითონ მოითხოვენ განსაზღვრას, რაც თითქოს რაღაც დაუძლეველ სიძნელეს ქმნის.

აგრესიის განსაზღვრის იმ პროექტის კრიტიკოსები, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა, აღნიშნავდნენ, რომ, თუ გამოვიყენებთ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს ამ განსაზღვრას, პრინციპს ამ სახელმწიფოს აგრესორად ცნობის შესახებ, რომელიც პირველი მოახდენს თავდასხმას, მაშინ თითქოს აგრესორად უნდა ვცნოთ ინგლისი, რომელიც 1914 წელს გამოვიდა გერმანიის წინააღმდეგ, რადგან გერმანია შეიჭრა არა ინგლისში, არამედ ბელგიაში. სხვები აღნიშნავდნენ, რომ ანალოგიური მდგომარეობა ჰქონდათ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, რომლებმაც ერთა ლიგას აცნობეს, რომ ომის მდგომარეობა გვაქვს გერმანიასთან 1939 წელსო. არა გვგონია განსაკუთრებული მტკიცება იყოს საჭირო იმისათვის, რომ ცხადვყოთ უაზრობა ასეთი მოსაზრებისა, რომელიც საბჭოთა კავშირის წინადადების აზრისა და ტექსტის აშკარა დამახინჯებას შეადგენს. საკმარისია მოგაგონოთ, რომ ნიურნბერგის პროცესზე მთავარმა ბრალმდებელმა — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბ-ნმა ჰარტლი შოუკროსმა უკვე გასცა პასუხი ასეთ მონაჩმახს, როცა 1945 წლის 4 დეკემბერს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სხდომაზე, რომელიც ასამართლებდა ჰიტლერული გერმანიის მეთაურებს, განაცხადა შემდეგი:

„როცა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ერთა ლიგას აცნობეს, რომ მათ 1939 წლის 3 სექტემბრიდან ომის მდგომარეობა აქვთ გერმანიასთან, ამით მათ გამოაცხადეს, რომ, მოახდინა რა აგრესიის აქტი პოლონეთის წინააღმდეგ, გერმანიამ დაარღვია ვალდებულებანი, რომლებიც მან იკისრა არა მარტო პოლონეთის, არამედ აგრეთვე სხვა სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის პაქტს. პაქტის დარღვევა ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის მიმართ იყო აგრეთვე თავდასხმა ყველა დანარჩენ მხარეზე და მათ სრული უფლება ჰქონდათ სწორედ ასე მიეჩნიათ ეს დარღვევა".

არ შეიძლება სამართლიანად არ იქნას მიჩნეული ასეთი დასკვნა ნიურნბერგის პროცესზე მთავარი ბრალმდებლის — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლისა, რომელმაც, ამრიგად, დაადასტურა საბჭოთა განსაზღვრის ასეთი კრიტიკის სრული უსაფუძვლობა. ცდილობდნენ რა აუცილებლად უარყოთ ამ განსაზღვრის ღირებულება, აღნიშნავდნენ, რომ თითქოს არსებობს აგრესიის ბუნებრივი, ადამიანის ბუნების დამახასიათებელი ცნება, თავისებური თანდაყოლილი იდეა, ამის მიხედვით, ამბობდა ზოგიერთი კრიტიკოსი, ორი მოჩხუბარი ბავშვი იხელმძღვანელებს სწორედ ასეთი ცნებით და არა კრიტერიუმით, რომელიც იურიდიულ განსაზღვრას ექვემდებარება. მაგრამ ეს სრულიად წარმოუდგენელი ანალოგიაა, რომელიც მეომარ სახელმწიფოებს ადარებს ორ მოჩხუბარ ბავშვს. ასეთი ანალოგიის უაზრობას, როგორც ჩანს, ხედავენ თვით კრიტიკოსები, რომლებიც იქვე მიმართავენ ახალ ანალოგიას, სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლის ანალოგიას.

საბერძნეთის წარმომადგენელი გენერალური ასამბლეის VI სესიაზე აღნიშნავდა, რომ მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი საქმის ვითარების საფუძველზე, მაგალითად, წყვეტს იყო თუ არა თავდასხმა, თუმცა სისხლის სამართლის ათობით კოდექსი, რომლებიც მან შეისწავლა, მოწმობს თავდასხმას. და ეს ანალოგია პირველზე უკეთესი როდია, რადგან ცნობილია, რომ, თუმცა მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს მოცემული საქმის გარემოებების საფუძველზე, რადგან სხვანაირად შეუძლებელიც არის, მაგრამ ამავე დროს იგი მოქმედებს კანონების საფუძველზე და ფარგლებში, როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის მიმართ, ისე სასჯელის მიმართ, რომელიც დაწესებულია ასეთი დანაშაულის ჩადენისათვის. ამიტომ სრული უაზრობაა იმის თქმა, რომ მოსამართლე საქმეს წყვეტს ინტუიციით, დარღვევის შესახებ რაღაც „ბუნებრივი ცნების" საფუძველზე და სხვ.

მოსამართლე ასამართლებს კანონის საფუძველზე, კანონის ფარგლებში, სისხლის სამართლის დანაშაულობათა კოდექსის საფუძველზე, ამ კოდექსის ფარგლებში. არსებობს ბევრი კოდექსი. აი, მაგალითად, აქ ნიუ-იორკში არსებობს ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კანონები, რომელთა სხვადასხვა მუხლებსა და პარაგრაფებში ჩამოთვლილია მთელი რიგი დანაშაულობანი. და მერე ნიუ-იორკელმა მოსამართლემ ამ კანონებით არ უნდა გაასამართლოს? მაშინ რისთვისღა უნდა დაიწეროს კანონები, ამბობდა ჯერ კიდევ პეტრე I, თუ ისინი არ უნდა შესრულდეს? მაგრამ არ შეიძლება კანონი გამოიყენო ფორმალურად, უგუნურად, ისე, თუ არ შეუფარდე ნამდვილ გარემოებებს. ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელიღაც ზანგი გაასამართლეს იმის გამო, რომ როცა ავტომობილით მიდიოდა „შეურაცხმყოფლად" შეხედა თეთრკანიან ქალიშვილს. ეს უნდოდათ დაესახათ შავკანიანის მხრივ თეთრკანიანზე რაღაც თავდასხმად. ასეთი კანონიერება ხომ არა სურთ მოგვახვიონ თავს „ინტუიციური" და ამის მსგავსი სულელური „თეორიების" მომხრეებმა?

ჩვენ სხვა პოზიცია გვიკავია. აქ ყოველი ქვეყნის საშინაო კანონისა და საერთაშორისო კანონის სრული ანალოგიაა. უნდა იყოს საერთაშორისო კანონი და საერთაშორისო ორგანო, მაგალითად, უშიშროების საბჭოს სახით, როცა იგი მოქმედებს კანონიერი შემადგენლობით და წესდების შესაბამისად, როცა მან უნდა გადაწყვიტოს ესა თუ ის საქმე და, კერძოდ, შესაბამისად 39-ე მუხლისა იმის განსაზღვრის შესახებ, თუ ვინ არის აგრესორი, რომელი მხარეა თავდამსხმელი და რა ღონისძიებანი უნდა იქნას მიღებული საქმის ყველა გარემოების საფუძველზე. მაგრამ უშიშროების საბჭო უკეთ, უფრო ძლიერ, უფრო შეუცდომლად იმოქმედებს, როცა ხელში ექნება სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც მომდინარეობს ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანოდან, როგორიც შეიძლება იყოს და უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თუ იგი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი არ გახდარა.

თითქოს ჩვენი განსაზღვრის დეფექტების დადგენის მიზნით კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აგრესიის განსაზღვრისათვის უნდა გვქნეს, სულ ცოტა, ორი ელემენტი — ობიექტური და სუბიექტური ელემენტი. ისინი აღიარებენ, რომ აგრესიის განსაზღვრის ობიექტური ელემენტი თუ კრიტერიუმი არის პირდაპირი, არაპირდაპირი თუ ფარული ძალადობა, რაც სახელმწიფომ ჩაიდინა მანამდე, სანამ „რაიმე მსგავს აქტს მეორე მხარე ჩაიდენდა. „მანამდე, სანამ..." — ეს სიტყვები ნიშნავს რომ რაიმე აქტი ჩაიდინა პირველმა. ეს არის სწორედ ის, რაზედაც ლაპარაკია განსაზღვრის პროექტში, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა.

ბუნებრივია, რომ შეუძლებელია რომელიმე განსაზღვრაში ჩამოითვალოს ასეთი პირდაპირი, არაპირდაპირი თუ ფარული ძალადობის ყველა შემთხვევა, ისე როგორც შეუძლებელია რომელიმე სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოითვალოს, მე ვსარგებლობ ჩვენი კრიტიკოსების ანალოგიით, მკვლელობის, დაშავების, შეურაცხყოფის და სხვ. და სხვ. ყველა შესაძლო შემთხვევა, ეს ჩანს თუნდაც შემდეგი მაგალითით. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია სიტყვით შეურაცხყოფა, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, სწორედ რა სიტყვები უნდა ჩაითვალოს კანონით შეურაცხმყოფელ სიტყვებად. აქ შეიძლება იყოს დიდი სხვადასხვაობა და არა მარტო სიტყვების, არამედ იმ კილოს მხრივ, როგორითაც ეს სიტყვები წარმოითქმება. შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო რაიმე ანდაზის ხმარებითაც კი, რაიმე ციტატის გამოყენებით. მაგალითად, შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო შენს მოსაუბრეს, როცა შეხვედრის დროს ასეთი სიტყვებით მიმართავ: „მელია შეხვდა დიდყურას და უთხრა: „ნათლი-ჯალაბო! რა კაი გუნებაზე ხარ!... საიდან მოჩანჩალობო?". ეს სიტყვით შეურაცხყოფაა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში თქვენ სათანადო მითითებას ვერ ნახავთ. და ეს სავსებით გასაგებია.

დანაშაულობასთან ბრძოლის მიზნით საკმაოა აღინიშნოს ყველაზე გავრცელებული, ტიპიური, მნიშვნელოვანი შემთხვევები. მივანდოთ სასამართლოს პრაქტიკულ მუშაობას, ყოველი ამა თუ იმ საქმის კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, უნარიანად, გონივრულად, კანონის ძირითადი იდეის გათვალისწინებით, ეს პოზიტიური განსაზღვრანი მიუყენოს ცხოვრების კონკრეტულ შემთხვევებს. მაშინ იქნება სამართლიანი და კანონიერი სასამართლო. მაშინ სამართლის მოღვაწეობას საფუძვლად ექნება კანონიერება და არა მიხედულება, არა ისეთი კანონიერება, რომელზეც ამბობენ: „მექოთნე იქ გამოაბამს ქოთანს ყურს, სადაც სურსო". არა ასეთი კანონიერება, არამედ მტკიცე კანონიერება, თანმიმდევრული კანონიერება, პრინციპული კანონიერება, რომელიც კანონის აზრიდან გამომდინარეობს. სწორედ ასეა ჩვენი განსაზღვრის საქმეც. ამიტომ არ შეიძლება უარვყოთ განსაზღვრა, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, თუმცა იგი არ შეიცავს აგრესიის ყველა შესაძლო შემთხვევის ამომწურავ ნუსხას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აპრიორულად აღებული ყოველგვარი მეცნიერული განსაზღვრა სიზუსტისა და ღირებულების მხრივ მუდამ ნაკლები იქნება იმ განსაზღვრაზე, რომელიც ემყარება გამოცდილებას და ამით უკვე აპრიორული აღარ არის.

რაც შეეხება აგრესიის სუბიექტურ კრიტერიუმს — ეგრეთწოდებულ თავდასხმის სუბიექტურ განზრახვას — animus aggressionis-ს — აგრესიის განზრახვას, — ეს, თავის მხრივ, განისაზღვრება თავდამსხმელი მხარის მთელი იმ საქმიანობის მთელი რიგი ფაქტებითა და ხასიათით, რომლებიც წინ უძღოდა თავდასხმას.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ თავდაცვის უფლება, რომელიც აგრესიის საპირისპირო პრინციპია. იმოწმებენ იმას, რომ თავდაცვის დროს უფლება გაქვს პირველმა ესროლო, რაც აღიარებულია სისხლის სამართლის ყველა კოდექსში. ამბობენ: „როცა აგრესიის საფრთხეა, სახელმწიფოს უფლება აქვს პირველი დაესხას თავს თავდაცვის მიზნით, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს სხვა სახელმწიფოს აგრესიულ განზრახვას, თუმცა აგრესიის ნამდვილი აქტი არ მომხდარა". ამბობენ, შესაძლებელია კონფლიქტები, რომლებშიც აგრესორი არ არის, თუ ერთ-ერთ სახელმწიფოს არა აქვს აგრესიული განზრახვა, ხოლო მეორე თავდასაცავად არ მოქმედებს. ამბობენ, რომ თუ ორივე სახელმწიფოს სურს თავიანთი უთანხმოება ომის გზით მოაწესრიგოს, მაშინ არც ერთი მათგანი არ იქნება მსხვერპლი, რომელიც მოქმედებს კანონიერი თავდაცვისათვის და, მაშასადამე, აქ არ შეიძლება აგრესორი იყოსო.

აი სამი შემთხვევა, რომლებზეც საჭიროა ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, პირველ შემთხვევაში უდავოა სახელმწიფოს თავდაცვის უფლება; უდავოა მეორე შემთხვევაც, როცა შესაძლებელია ისეთი კონფლიქტები, რომლებშიც არც ერთ მხარეს არა აქვს აგრესიული განზრახვა. მაშინ არც აგრესიის ნიშნები არსებობს. ერთ სახელმწიფოს ომი არ გამოუცხადებია მეორისათვის, ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები არ შეჭრილან მეორის ტერიტორიაზე და სხვ. მაშინ არ არის აგრესიის საკითხიც. ყოველივე ეს, ბუნებრივია, უნდა დაადგინოს საერთაშორისო ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე.

რაც შეეხება მესამე შემთხვევას, როცა ორი სახელმწიფო ისწრაფვის თავისი უთანხმოება მოაწესრიგოს ომის გზით, და იმ დასკვნებს, რომლებიც აქედან გამოჰყავთ იმ პირებს, ვინც ასეთ შემთხვევას იმოწმებს, რომ აქ აგრესორი არ არისო, ამას ვერ დაეთანხმებით.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა სტიმსონმა 1932 წელს ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა:

„ბრიან-კელოგის პაქტის ხელისმომწერმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ხალხთა შორის ომზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ომი მთელ მსოფლიოში პრაქტიკულად უკანონო გახდა. იგი აღარ არის სამართლის წყარო და საგანი, იგი აღარ არის ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებენ ხალხის ქცევის მოვალეობანი და უფლებანი. იგი კანონის საწინააღმდეგო გახდა. ამრიგად, როცა ორი ხალხი შეიარაღებულ კონფლიქტს იწყებს, ერთი მათგანი ანდა ორივე დანაშაულებრივი მხარეა, ხელშეკრულებით დამყარებული კანონის დამრღვევია. ჩვენ აღარ გავემიჯნებით მათ და არ მოვექცევით დუელის კოდექსის შესაბამისად, ამის ნაცვლად ჩვენ მათ კანონის დამრღვევებად გამოვაცხადებთ".

ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა პროკურორმა 1941 წლის 27 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში, აგრეთვე ჰქონდა რა მხედველობაში მთელ რიგ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებანი — უარი ეთქვათ ომზე, როგორც პოლიტიკის განხორციელების საშუალებაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ომზე უარის თქმის ხელშეკრულებამ და არგენტინის ომის საწინააღმდეგო ხელშეკრულებამ მათს ხელმომწერ სახელმწიფოებს წაართვა ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის თუ აგრესიის ინსტრუმენტის უფლება, და უკანონოდ გამოაცხადა მათი დებულებების დარღვევით დაწყებული ომები. ამის გამო ამ ხელშეკრულებებმა მოსპეს ისტორიული და იურიდიული საფუძვლები ნეიტრალიტეტის დოქტრინისა, რომელიც წინათ წარმოადგენდა აბსოლუტურ მიუკერძებლობას აგრესიული ომებისადმი".

აქედან ის გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო, რომელმაც ომი დაიწყო თავის ვალდებულებათა დარღვევით, ვერ მიიღებს სხვა სახელმწიფოთა მხრივ თანაბარი მოპყრობის უფლებას, თუ სახელშეკრულებო ვალდებულებანი ამ საკითხის სხვანაირ გადაჭრას არ მოითხოვდნენ. ასეთი სახელმწიფო თავისი უკანონო მოქმედების გამო ვერავითარ უფლებას ვერ მიიღებს.

ასეთია „აგრესიის" ცნების განსაზღვრის შესახებ საბჭოთა კავშირის პროექტის ეგრეთწოდებული გაკრიტიკების საქმეც. ეს კრიტიკა კი არა, კრიტიკის სახით ფაქტების უხეში დამახინჯებაა.

5. ომის ამერიკელი გამჩაღებლები აგრესიის განსაზღვრის წინააღმდეგი არიან

წინააღუდგნენ რა აგრესიის ცნების განსაზღვრის ზუსტ და ნათელ ფორმულირებებს, რომლებსაც შეიცავს აგრესიის განსაზღვრის საბჭოთა პროექტი, იქამდე მიდიან, რომ ქადაგებენ უცნაურ თეორიას, რომლის გამო, რადგან ვითომდა არ არსებობს აგრესორის განსაზღვრის უდავო კრიტერიუმი, მოითხოვენ ვაღიაროთ, რომ ამის შესახებ მთავრობის აზრი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ქმნიან სულ სხვადასხვანაირი ფაქტები. ამას უწოდებენ „აგრესიის ბუნებრივ ცნებას", რომელიც, როგორც ისინი აცხადებენ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება და კიდევაც უნდა განიმარტოს სხვადასხვანაირად.

ასეთი თეორია მეტად ხელსაყრელია იმ მთავრობებისათვის, რომლებიც აგრესიულ პოლიტიკას იცავენ. ასეთი თეორია, ცხადია, იძლევა აგრესიის მეტად „მოქნილ" განსაზღვრას, იმდენად „მოქნილს", რომ მას შეუძლია ძირი გამოუთხაროს აგრესიის ყოველგვარ განსაზღვრას, ამრიგად გააქარწყლოს მთელი მნიშვნელობა ან არარად აქციოს აგრესიის საერთაშორისო ცნება, რომელსაც შეეძლო შემაკავებელი ფაქტორი და საფუძველი ყოფილიყო ნამდვილი აგრესორის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

ამ შემთხვევაშიც ტონს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები იძლევიან. ისეთ პირობებში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკამ მიატოვა თანამშრომლობის გზა და დაადგა ახალი მსოფლიო ომის მომასწავებელი ცივი ომის გზას. ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არიან არა იმით, რომ ლაგამი ამოსდონ აგრესორს და აგრესიული გეგმები ჩაუფუშონ ომის გამჩაღებლებს, არამედ იმით, რომ გზიდან ჩამოიშორონ დაბრკოლებანი, რათა გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, რასაც აწყობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მომხრე ზოგიერთი სხვა ქვეყნის რეაქციული წრეები, იმ მიზნით, რომ განახორციელონ ამერიკელი მილიარდერებისა და სხვა ქვეყნებში მყოფ მათ თანამონაწილეთა გიჟური გეგმები.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს აგრესიის განსაზღვრის საკითხში უკავიათ პოზიცია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდდამხოლოდ მისწრაფება იმისადმი, რომ ჩაშალონ გენერალური ასამბლეის მიერ აგრესიის ისეთი განსაზღვრის მიღება, რომელიც ნამდვილად შეასრულებდა სერიოზულ როლს ამ ყველაზე საშიში საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ასეთი პოზიცია პირდაპირ დაკავშირებულია თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებასთან.

როგორც ი. ბ. სტალინმა ცხადყო თავის ამასწინანდელ შესანიშნავ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", ამ კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნებია: „მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად". ეს კანონი ბიძგს აძლევს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, რომ ახალი ომები მოაწყოს მაქსიმალური მოგების მისაღებად და მსოფლიო ეკონომიკური ბატონობის, ხოლო ამასთანავე მსოფლიო პოლიტიკური ბატონობის მოსაპოვებლად.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის თავისებურებანი განსაზღვრავენ მისი შესაბამისი საერთაშორისო პოლიტიკის არსსაც და თავისებურებებსაც, პოლიტიკისა, რომელიც ამოიწურება მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური განაწილებისათვის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლით. ამ პოლიტიკის თავისებურებანი გამოიხატება ძალმომრეობისადმი, ახალი ტერიტორიების, კოლონიების, ბაზრების დაპყრობისადმი მისწრაფებით. კაპიტალისტებს შორის წარმოშობილი და მოქმედი კავშირები, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების გამოცდილება გვიჩვენებს, ეწყობა მსოფლიოს ეკონომიკური განაწილების ნიადაგზე. სახელმწიფოთა ურთიერთობა აგრეთვე იქმნება მსოფლიოს ტერიტორიული განაწილების, კოლონიებისა და ბაზრებისათვის ბრძოლის იმავე ნიადაგზე, რაც თავის მხრივ წარმოშობს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამწვავებას, ამასთან კაპიტალისტური ქვეყნების ბრძოლა ბაზრებისათვის და თავიანთი კონკურენტების დახრჩობის სურვილი, მაგალითად, პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შუა პერიოდში, როგორც ი. ბ. სტალინმა ცხადყო, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ბანაკსა და სოციალიზმის ბანაკს შორის. კაპიტალისტურ სინამდვილეში კავშირები, რა ფორმითაც უნდა იქმნებოდნენ ისინი, იქნება ეს ერთი იმპერიალისტური კოალიცია მეორე იმპერიალისტური კოალიციის წინააღმდეგ მაგალითად, ანტანტის ქვეყნების კოალიცია სამთა თანხმობის ქვეყნების წინააღმდეგ, თუ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოს საყოველთაო კავშირი, ნამდვილად, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, მხოლოდ „შესვენებაა" ომიდან ომამდე. „მშვიდობის კავშირები, — გვასწავლის მარქსიზმ-ლენინიზმი, — ომებს ამზადებენ და თავის მხრივ ომებიდან წარმოიშვებიან, ერთი-მეორეს აპირობებენ, მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის იმპერიალისტური კავშირისა და ურთიერთობის ერთი და იმავე ნიადაგიდან წარმოშობენ მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ბრძოლის ფორმების შეცვლას". (ლენინი).

(დასასრული იქნება)

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 277.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის მორფორდის წერილი ა. ი. ვიშინსკისადმი

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა მორფორდმა ა. ი. ვიშინსკის გაუგზავნა წერილი, რომლითაც საბჭოს სახელით მადლობას უძლვნის იმ მილოცვისათვის, რაც ვიშინსკიმ გაუგზავნა ყოველწლიური მიტინგის მონაწილეებს, რომელიც ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად.

წერილში აღნიშნულია, რომ ვიშინსკის წერილმა მიტინგის მონაწილეთა მქუხარე ტაში გამოიწვია. მიტინგის მონაწილეებმა საქვეყნოდ დადეს პირობა იმუშაონ ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის აღსადგენად.

„დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის მიღწევებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, — აცხადებენ მიტინგის მონაწილენი. — მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის ხალხსა და ხელმძღვანელებს მრავალი წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში მათი ღონისძიებებისათვის.

ჩვენი მტკიცე პოზიცია ემყარება იმას, რომ ჩვენი ორი ქვეყნის საერთო ინტერესები სჭარბობენ მათ შორის არსებულ უთანხმოებას და რომ შეიძლება გამოიძებნოს ორი სხვადასხვა სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის გზა.

ჩვენ კვლავ მთელ ძალას ვახმართ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის აღდგენის ამოცანას — კურსს, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ურთიერთ კეთილდღეობას და რომელიც საჭიროა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად".

დასასრულ მიტინგის მონაწილეები მოითხოვენ კორეის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და პირობას იძლევიან მიიღონ ყოველი ღონისძიება მტკიცე მშვიდობის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ VII ᲡᲔᲡᲘᲐ

იურიდიულ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე კომიტეტი (იურიდიული) თავის სხდომებზე განიხილავს „აგრესიის" ცნების განსაზღვრის საკითხს. ეს საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში, მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციების დიდ ყურადღებას იპყრობს, რადგან მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო მტკიცედ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან აგრესორების ალაგმვას. კომიტეტის სხდომებზე ავღანეთის, ირანის, ინდონეზიისა და ეგვიპტის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა აგრესიის განსაზღვრა, რომელიც დაგმობს აგრესიული პოლიტიკის სხვადასხვა გამოვლინებას. ავღანეთის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ „მცირე და სუსტ ხალხებს მეტად ესაჭიროებათ აგრესიის განსაზღვრა, იმიტომ რომ ეს ხალხები ყოველდღე ხდებიან პირდაპირი თუ არაპირდაპირი აგრესიის მსხვერპლი". ირანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საჭიროა აგრესიის განსაზღვრა და მოიყვანა ირანის მიმართ ინგლისის აგრესიული პოლიტიკის ფაქტები.

ამ საკითხის განხილვისას გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილი ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა ყალბი საბაბით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს აგრესიის მკაფიო და ნათელ განსაზღვრას და რომელიც მშვიდობისმოყვარე ხალხებსა და სახელმწიფოებს აძლევს იარაღს ამერიკა-ინგლისის ბლოკის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სენატორი გრინი და ინგლისის წარმომადგენელი ფიტც-მორისი გამოვიდნენ აგრესიის ყოველგვარი განსაზღვრის წინააღმდეგ. ისინი უხეშად აყალბებდნენ ისტორიულ ფაქტებს და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ აგრესიის განსაზღვრა თეორიულად შეუძლებელია, ხოლო პრაქტიკულად საჭირო არ არის. ვენესუელის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ საშიში საერთაშორისო ვითარება თითქოს არ უწყობს ხელს აგრესიის განსაზღვრის საკითხის გადაჭრას, თუმცა ყველამ ნათლად უნდა იცოდეს, რომ სწორედ ატლანტიკის ბლოკის მიერ აგრესიული ომის გაჩაღების საფრთხე ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსაზღვროს აგრესიის ცნება, ამხილოს აგრესორები რა ქურქითაც უნდა იმოსებოდნენ ისინი.

კომიტეტის 21 ნოემბრის სხდომაზე გამოსულმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ თავის სიტყვაში ამხილა ის ყალბი მოსაზრებანი, რომლებიც აგრესიის განსაზღვრის წინააღმდეგ მოჰყავდათ აგრესიული ატლანტიკის ბლოკის წარმომადგენლებს, და დაასაბუთა, რომ საჭირო და შესაძლებელია აგრესიის ზუსტი განსაზღვრა. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვრცელ სიტყვაში, რომელიც შეიცავდა უკანასკნელი წლების საერთაშორისო ვითარების ანალიზს, ცხადყო, რომ რეზოლუციის საბჭოთა პროექტი, რომელიც შეტანილია მეექვსე კომიტეტის განსახილველად, შეიცავს აგრესიის მეცნიერულად დასაბუთებულ განსაზღვრას, რომელიც შეეფერება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა და სახელმწიფოს საარსებო მოთხოვნებს.

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საკდესი). სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა გუშინ დაამთავრა სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი კონფლიქტის საკითხის განხილვა.

ამ საკითხის განხილვამ ცხადყო სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის სურათი. რასობრივი უპირატესობის ნაცისტურ თეორიებს ფართო პროპაგანდას უწევენ ამ ქვეყანაში. სამხრეთ აფრიკის კავშირის კანონმდებლობაშია 60-ზე მეტი კანონი, რომლებიც მიმართულია მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. საარჩევნო კანონი ინდური წარმოშობის პირებსა და ზანგებს უფლებას ართმევს რაიმე მონაწილეობა მიიღონ ამ ქვეყნის მართვაში. სამარცხვინოა კანონი საშვების შესახებ, ურომლისოდაც მკვიდრ მოსახლეობას არ შეუძლია იმგზავროს ამ ქვეყანაში. სამხრეთ აფრიკის კავშირის ზანგ მოსახლეობას არ შეუძლია თეთრებთან ერთად იმგზავროს ტრამვაით და მატარებლით, უფლება არა აქვს ისარგებლოს ლიფტით, იყოს მაღაზიებსა და მთავრობის დაწესებულებებში თეთრებთან ერთად. უეჭველია, რომ სამხრეთაფრიკელმა რასისტებმა ეს ნაცისტური კანონები თავიანთ ქვეყანაში შემოიღეს შეერთებული შტატების მაგალითის მიხედვით, სადაც აშკარად ქადაგებენ რასობრივი უპირატესობის თეორიას და ახორციელებენ პირდაპირ დისკრიმინაციას ამ ქვეყნის ზანგი მოსახლეობის მიმართ.

კომიტეტს უნდა განეხილა 18 სახელმწიფოს (ავღანეთის, ბირმის, ბოლივიის, ჰაიტის, გვატემალის, ჰონდურასის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, ირანის, იემენის, პაკისტანის, სირიისა და სხვ.) რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს კომისიის შექმნას სამხრეთ აფრიკაში რასობრივი ურთიერთობის შესასწავლად, ამ კომისიამ მოხსენება უნდა წარუდგინოს გენერალური ასამბლეის VIII სესიას; მეორე რეზოლუცია, რომელიც სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციამ შეიტანა, აცხადებს, რომ კომიტეტის კომპეტენციაში არ შედის ამ საკითხის განხილვა.

სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი კონფლიქტის საკითხის განხილვამ ცხადყო იმ კოლონიურ სახელმწიფოთა იზოლაცია, რომლებიც ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ რაიმე ისეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ კონფლიქტის გადაჭრას.

ჯერ კოლონიურ სახელმწიფოთა დელეგატები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციაში არ შედის სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი დევნის საკითხის განხილვა, რამდენადაც ეს საკითხი, მათი აზრით, სამხრეთ აფრიკის კავშირის საშინაო კომპეტენციას შეადგენს.

ინდოეთის, პაკისტანის, ინდონეზიის, ბირმისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს ეს მტკიცება და თავისი სიტყვებით ცხადყვეს, რომ რასობრივი პრობლემა სამხრეთ აფრიკის კავშირში აღარ არის სამხრეთ აფრიკის კავშირის საშინაო საქმე და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია. ამ ქვეყნების დელეგატებმა კომიტეტის ყურადღება მიაქციეს იმას, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობამ დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპები, და მოიყვანეს სამხრეთ აფრიკის კავშირში არაევროპელი მოსახლეობის უუფლებო მდგომარეობის მრავალი ფაქტი.

მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა შეიცვალეს ტაქტიკა, რაკი ვერ გაბედეს აშკარად გამოსულიყვნენ 18 სახელმწიფოს რეზოლუციის წინააღმდეგ. დანიის, ნორვეგიის, შვეციისა და ისლანდიის დელეგაციების სახელით შეტანილ იქნა რეზოლუციის ახალი პროექტი, რომელიც ადამიანის უფლებებზე ზოგადი მსჯელობით ცვლის რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის რაიმე დაგმობას.

კომიტეტის 17 ნოემბრის სხდომაზე გამოსულმა ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა პ. ე. ასტაპენკომ, აღნიშნა რა სამხრეთ აფრიკის კავშირის, ინგლისის, ავსტრალიის დელეგაციების იმ მტკიცებათა მთელი უსაფუძვლობა, რომ ამ საკითხის განხილვა თითქოს არ შედიოდეს კომიტეტის კომპეტენციაში, განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, თუ იგი მართლაც ემხრობა მის წესდებაში ჩაწერილი მაღალი პრინციპების განხორციელებას, უნდა მიიღოს ღონისძიებანი იმ დისკრიმინაციული პოლიტიკის აღსაკვეთად, რომელსაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა არაევროპული მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებს. ბელორუსიის სსრ დელეგაცია, თქვა ასტაპენკომ, მხარს უჭერს 18 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეიძლება გახდეს ისეთი ღონისძიება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სამხრეთ აფრიკის კავშირში დისკრიმინაციული პოლიტიკის განხორციელებას. ბელორუსიის სსრ დელეგაცია მხარს არ დაუჭერს არც ერთ შესწორებას, რომლის მიზანი იქნება 18 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის შესუსტება.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ლ. ფ. პალამარჩუკმა 18 ნოემბრის გამოსვლით ცხადყო, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხის განხილვა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს იმ ფაქტებს, რომ რასობრივი დისკრიმინაცია არსებობს მთელ რიგ ქვეყნებში და პირველ რიგში შეერთებულ შტატებში, სადაც რასობრივ დისკრიმინაციას აშკარა აღვირახსნილი ხასიათი აქვს, სადაც ოფიციალურად ქადაგებენ სხვადასხვაგვარ კაცთმოძულეობრივ „თეორიას" ანგლო-საქსური რასის უპირატესობის შესახებ.

უკრაინის სსრ დელეგაცია გმობს რასობრივ და ეროვნული დისკრიმინაციის ყოველგვარ პოლიტიკას. იგი მხარს უჭერს 18 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს, როგორც სამხრეთ აფრიკის კავშირის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შემდგომი დარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებას და როგორც გაფრთხილებას ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ნაკისრ ვალდებულებათა საწინააღმდეგოდ განაგრძობენ რასობრივი ჩაგვრისა და სხვა ხალხებზე კოლონიური ბატონობის პოლიტიკას.

კომიტეტის 19 ნოემბრის სხდომაზე გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ 18 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტი სამართლიანად აქცევს ყველა სახელმწიფოს ყურადღებას სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გენერალური ასამბლეის იმ რეზოლუციების დარღვევას, რომლებიც მოუწოდებენ ბოლო მოეღოს სამხრეთ აფრიკის კავშირში მკვიდრი მოსახლეობის რასობრივ დევნას და დისკრიმინაციას. საბჭოთა დელეგაციას, თქვა ზორინმა, მიაჩნია, რომ გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს და მოვალეა მიიღოს ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ძირითადი პრინციპებისა და მიზნების ასეთი დარღვევის აღსაკვეთად და რომ იმ კომისიის დაარსებას, რომელიც იმუშავებს სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი ურთიერთობის საკითხის შესწავლასა და განხილვაზე, შეუძლია დახმარება გაუწიოს ამ ამოცანების განხორციელებას.

ამავე დროს, განაგრძო ზორინმა, სსრ კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი, თითქოს კომიტეტის კომპეტენციაში არ შედიოდეს ამ საკითხის განხილვა, არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს და არ შეიძლება მიღებულ იქნას გენერალური ასამბლეის მიერ. საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით წინააღმდეგია რეზოლუციის ამ პროექტის მიღებისა.

შეეხო რა სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ შეტანილ რეზოლუციის ახალ პროექტს, ზორინმა განაცხადა, რომ ამ პროექტის მიზანია შეცვალოს 18 სახელმწიფოს წინადადება. იგი შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ ისე, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირი ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა მიჩქმალოს ადამიანის უფლებათა პატივისცემის შესახებ სრულიად უმნიშვნელო საერთო დებულებებით. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ სკანდინავიის სახელმწიფოთა რეზოლუცია, თუ იგი მიღებულ იქნა, მხოლოდ უარყოფით როლს შეასრულებს, და ამიტომ საბჭოთა დელეგაცია ილაშქრებს მის წინააღმდეგ და ხმას მისცემს მისი მიღების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, თქვა ზორინმა, მხარს უჭერს 18 სახელმწიფოს მიერ შემოტანილ რეზოლუციის პროექტს და ილაშქრებს ამ რეზოლუციის შესუსტების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. სსრ კავშირის დელეგაცია ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის იმ პოლიტიკის ძირითადი პრინციპებით, რომლის მიზანია ყველა ერისა და რასის თანასწორუფლებიანობის დაცვა, ხალხთა თვითგამორკვევა, რასობრივ დევნას სამხრეთ აფრიკის კავშირსა და სხვა სახელმწიფოებში განიხილავს როგორც თანამედროვე ცხოვრების სამარცხვინო მოვლენას, რომელიც მოწმობს ზოგიერთი ქვეყნის მმართველი წრეების მისწრაფებას შეინარჩუნონ სრული ბატონობა და მართვის კოლონიური მეთოდები ხალხთა მიმართ. საბჭოთა კავშირი ყოველთვის იბრძოდა და იბრძოლებს ყველა ერისა და რასის თანასწორუფლებიანობისათვის, ყველა იმ ხალხის მხარდასაჭერად, რომლებიც იბრძვიან მონობის, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა გამოვლინდეს ეს მონობა და კოლონიური ჩაგვრა.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ იმ კომისიამ, რომლის შექმნასაც 18 სახელმწიფოს რეზოლუცია ითვალისწინებს, თავის მუშაობაში უნდა იხელმძღვანელოს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების I მუხლის მეორე პარაგრაფის დებულებებით ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე ერების მეგობრული ურთიერთობის განვითარების შესახებ. ეს დებულება უეჭველია, ხელს შეუწყობს კომისიის მუშაობის წარმატებას და გააძლიერებს 18 სახელმწიფოს მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტს. ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, საბჭოთა დელეგაციას შემოაქვს 18 სახელმწიფოს რეზოლუციის იმ ნაწილის შესაბამისი შესწორება, რომელიც განსაზღვრავს კომისიის მუშაობის ამოცანებს.

სსრ კავშირის დელეგაციის შესწორებას კენჭი უყარეს და მან მიიღო კომიტეტის ხმის უმრავლესობა. 29 დელეგაციამ ხმა მისცა ამ შესწორების მიღებას (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, ეგვიპტე, სირია, ლიბანი და სხვ.). 5 დელეგაციამ ხმა მისცა წინააღმდეგ (ამერიკის შეერთებული შტატები, ჰოლანდია, ბრაზილია, კუბა, კოსტარიკა), 23 დელეგაციამ თავი შეიკავა (ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, დანია, შვეცია და სხვ.).

შემდეგ კენჭი უყარეს 18 ქვეყნის — არაბთა, აზიისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეიცავს კომიტეტის მიერ მიღებულ სსრ კავშირის დელეგაციის შესწორებას. ამ პროექტის მიღებას ხმა მისცა 35 დელეგაციამ (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ინდონეზია, ჩილი, მექსიკა, ურუგვაი და სხვ.) 2 დელეგაციამ ხმა მისცა წინააღმდეგ (სამხრეთ აფრიკის კავშირი და პერუ), 22 დელეგაციამ თავი შეიკავა (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.).

სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომ კომიტეტის კომპეტენციაში არ შედის სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი კონფლიქტის საკითხის განხილვა, უარყოფილ იქნა კომიტეტის წევრთა დიდი უმრავლესობით. 45 დელეგაციამ ხმა მისცა მის წინააღმდეგ (სსრ კავშირი, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, პაკისტანი, ეგვიპტე და სხვ.). მხოლოდ ექვსმა დელეგაციამ მისცა ხმა ამ რეზოლუციას (ინგლისი, ავსტრალია, ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და სამხრეთ აფრიკის კავშირი). 8 დელეგაციამ (არგენტინა, დომინიკის რესპუბლიკა, საბერძნეთი, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, პერუ, თურქეთი და ვენესუელა) თავი შეიკავა.

ამის შემდეგ კენჭისსაყრელად დასმულმა სკანდინავიის ოთხი ქვეყნის რეზოლუციამ მიიღო მხოლოდ 20 ხმა. ამ რეზოლუციას ხმა მისცეს შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამერიკის პოლიტიკას ემხრობიან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დელეგაციის 2/3-ს ხმა არ მიუცია ამ რეზოლუციისათვის, ამასთან 35 დელეგაციამ თავი შეიკავა, მათ შორის ინდოეთის, პაკისტანის, აზიის, არაბთა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების დელეგაციებმა, რომლებმაც შეიტანეს სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის დამგმობი რეზოლუცია. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, მექსიკის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციის მიღების წინააღმდეგ.

ერაყის მთავრობა გადადგა

ლონდონი, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს გადადგა ერაყის მთავრობა, რომელსაც მეთაურობდა მუსტაფა ალ-ომარი (მთავრობა შექმნილი იყო პარლამენტის არჩევნების მოსამზადებლად).

ბოლო დროს ინგლისის პრესა ყურადღებას უთმობდა ერაყის მდგომარეობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოითხოვდნენ ფართო რეფორმების განხორციელებას და ნავთის შესახებ ინგლის-ერაყის ხელშეკრულების გაუქმებას, აგრეთვე საარჩევნო კანონის შეცვლას. იუწყებოდნენ, კერძოდ, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა გადაწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ არჩევნებს, თუ ორსაფეხურიანი არჩევნები არ შეიცვალა პირდაპირი არჩევნებით. ალ-ომარის მთავრობამ უარი თქვა საარჩევნო კანონის შეცვლაზე და ძველი კანონის საფუძველზე აპირებდა არჩევნების მოწყობას.

მასობრივი დემონსტრაციები ბაღდადში

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გუშინ ბაღდადში პოლიციამ სროლა აუტეხა სტუდენტებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრაციაში. ამის შედეგად მოკლულ იქნა 5 კაცი და დაიჭრა 50 კაცი. როგორც იუწყებიან, დაჭრილია აგრეთვე 38 პოლიციელი.

დემონსტრაციის დამთავრებისთანავე ერაყის რეგენტმა მთავრობის სხდომა მოიწვია. სხდომაზე მიწვეულ იქნენ აგრეთვე ოპოზიციის ლიდერები. მათ რეგენტს განუცხადეს, არც ერთ მთავრობას მხარს არ დავუჭერთ, რომელიც საარჩევნო სიებში დაუყოვნებლივ არ შეიტანს ცვლილებებსო.

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დღეს ბაღდადში 20 ათასამდე დემონსტრანტმა ცეცხლი წაუკიდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან არსებული ამერიკის საინფორმაციო სამსახურის შენობას და ქვა დაუშინა მთავრობის დაწესებულებებს. პოლიციასთან შეტაკების შედეგად მოკლულია ორი კაცი და დაჭრილია 30 პოლიციელი და რამდენიმე სტუდენტი.

ინგლისისა და ამერიკის საელჩოების გარშემო პოლიციის ძლიერი დამცველი რაზმები დგანან.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ჰააგა, 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ამსტერდამში გაიხსნა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის XVI (ომისშემდგომი IV) ყრილობა. ყრილობას ესწრება 400-მდე დელეგატი — ჰოლანდიის 11 პროვინციის წარმომადგენლები. ყრილობის გახსნისას კომუნისტური პარტიის გამგეობის თავმჯდომარემ ვაგენაარმა დღეგრძელობა უსურვა კაცობრიობის გენიალურ ბელადს ი. ბ. სტალინს. ყრილობის დელეგატები ერთი მისწრაფებით წამოდგნენ ფეხზე და მოაწყეს მქუხარე ოვაცია ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. დარბაზში გაისმა შეძახილები: „იცოცხლოს მრავალ წელს დიდმა სტალინმა — ჩვენმა მეგობარმა და მასწავლებელმა", „გაუმარჯოს ძლიერ საბჭოთა კავშირს და მის კომუნისტურ პარტიას — ჩვენს მნათობსა და შუქურას".

ყრილობაზე ვრცელი მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობისა და ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა პაულ დე გროოტმა.

მან ღრმა ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰოლანდია შედის აგრესიულ ანტიდემოკრატიულ ბანაკში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ.

მეორე მხრივ, თქვა პაულ დე გროოტმა, ჩვენ სიამაყითა და სიხარულით შევცქერით დიდ საბჭოთა კავშირს, რომელიც კაცობრიობის მშვიდობისა და თავისუფლების მქადაგებელია.

პაულ დე გროოტმა თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მუშაობას, ი. ბ. სტალინის გამოსვლას პარტიის XIX ყრილობაზე და ი. ბ. სტალინის ახალ გენიალურ თეორიულ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". დე გროოტმა აღნიშნა, რომ ამხანაგ სტალინის ახალ შრომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, კომუნისტური პარტიების პრაქტიკული საქმიანობისათვის.

შეეხო რა ჰოლანდიის საშინაო მდგომარეობას, პაულ დე გროოტმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად რეაქციის შემოტევისა, გაიზარდა ჰოლანდიის მუშათა კლასის ორგანიზებულობა. შეიქმნა მშრომელების, ქალებისა და ახალგაზრდობის ძლიერი დემოკრატიული ორგანიზაციები. გაიზარდა და განმტკიცდა კომუნისტური პარტია, რომელიც თანმიმდევრულ ბრძოლას ეწევა ჰოლანდიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისათვის. ყოველივე ეს განამტკიცებს მშვიდობის დაცვისა და ახალი ომის თავიდან აშორების იმედს. ჰოლანდიის ხალხის ფართო მასების შეგნებაში სულ უფრო ღრმად ინერგება ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას.

პაულ დე გროოტმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი. დასასრულ მომხსენებელმა ჩამოაყალიბა კომპარტიის წინაშე დასახული ძირითადი ამოცანები.

გუშინდელი სხდომის ბოლოს ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის გამგეობის თავმჯდომარემ გერბენ ვაგენაარმა გამოაქვეყნა ყრილობის სახელზე მიღებული მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. დეპეშაში ნათქვამია:

ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის IV ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უთვლის ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის IV ყრილობის დელეგატებს.

ვუსურვებთ ჰოლანდიის მოძმე კომუნისტურ პარტიას ახალ წარმატებებს მშვიდობისათვის, ჰოლანდიის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, პარტიული რიგების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჰოლანდიის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სსრ კავშირისა და ჰოლანდიის ხალხების მეგობრობას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ დეპეშას ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

კორეის ამბები

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ფხენიანი, 22 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ცალკეულ უბნებზე თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ, ამასთან წარმატებით იგერიებდნენ ამერიკელ-ინგლისელთა და ლისინმანელთა ჯარების იერიშებს.

სახალხო არმიის ნაწილებმა აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩაძირეს მოწინააღმდეგის ერთი საესკადრო ნაღმოსანი და ერთი ტრალერი, რომლებიც ცდილობდნენ არტილერიის ცეცხლი დაეშინათ მშვიდობიანი დასახლებული პუნქტისათვის ვონსანის რაიონში.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ხუთი და დააზიანეს სამი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის რაიონებზე თავდასხმებში.

ფხენიანი, 23 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 23 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელთა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 4 თვითმფრინავი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲔᲡᲮᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲡ

ფხენიანი, 23 ნოემბერი. (საკდესი). 22 ნოემბერს ღამით ამერიკის მრავალმა ბომბდამშენმა მხეცურად დაბომბეს ფხენიანის საცხოვრებელი უბნები. ჰაერის მეკობრეებმა ქალაქს დააყარეს ბევრი ფუგასური ბომბი. განსაკუთრებით ბევრი მსხვილი ყალიბის ბომბი ჩამოყარეს ფხენიანის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ყველაზე მეტად დაანგრიეს ფხენჩანის რაიონი, სადაც მოსპობილია ათობით მიწური და შიგ მყოფი მცხოვრებნი.

ფხენიანის მცხოვრებნი მრისხანე პროტესტს აცხადებენ ამერიკის ავიაციის მიერ ქალაქის მხეცურად დაბომბვის წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, განაცხადა პედაგოგმა პაკ რონ ჩუმ, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხთა სამართლიანი ხელი დასჯის ამერიკელ მკვლელებს, რომლებიც საშინელ ბოროტებას სჩადიან კორეის მიწა-წყალზე. მტარვალები შურისგებას ვერ გაექცევიან.

მუშა ჩან ჯონ სემ თქვა: „ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედება ვერ გატეხს კორეელი ხალხის წინააღმდეგობის ნებას. კორეის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსულად დაბომბვა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ჩაშალეს მოლაპარაკება დაზავების შესახებ. ეს იმას მოწმობს, რომ ამერიკელი აგრესორები ცდილობენ განაგრძონ ომი კორეაში, მოსპონ კორეელი ხალხი. ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობის წინააღმდეგ, რაც დღემდე გრძელდება, და მოვითხოვთ შეწყდეს ფხენიანისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1952 წლის 10 დეკემბერს, დღის 11 საათზე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის, 8) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

მამედოვა ხიდიგა რზა ყიზი თემაზე: **„Насекомые, вредящие семенной продукции люцерны в Азербайджанской ССР и меры борьбы с ними".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეონიდე პოლიევქტოს-ძე კალანდაძე** და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **თამარ მათეს ასული ქავჟარაძე.**

მიტროფანოვი პეტრე ივანეს-ძე თემაზე: **„Фумигация цитрусовых культур синильной кислотой способом опыливания препаратами цианистого кальция".**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სიმონ ალექსანდრეს-ძე ქარუმიძე** და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **როსტომ იასონის-ძე ყიფიანი.**

შრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე, უნივერსიტეტის ქუჩა, 35.

ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

25 ნოემბერს	ზ. ფალიაშვილი—**დაისი**
26 ნოემბერს	ჯ. ვერდი—**ტრავიატა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — ნიკოლოზ ბარათაშვილი; **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის დილა; **გრიბოედოვის სახელობის**—ვასა ჟელეზნოვა (აბონემენტი 43, 44); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წინ, უშიშარნო! (3 და 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 2, 6 ს.); **სანიტარული კულტურის** — კარგი ამხანაგი.

და სონია, სიძე ივანე, დისწული თენგიზ, რძალი ნორა მაისურაძეები, ძმა ივანე დათებაშვილი იუწყებიან **მარიამ პეტრეს ასულ მოგელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XI ხაშურში.

ქალაქ თბილისის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება მასწავლებელ **ილია ანდრიას-ძე მიქაძის** გარდაცვალებას.

დედა კესა, მეუღლე ვლასი, შვილი ზინა, ძმები მიხეილ, ლაზარე, მაზლები ვიქტორ, ნოე, რძალი ლეო ოჯახებით იუწყებიან **თამარ იოსების ასულ მგელაძე-ხინთიბიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-XI, 7 ს. გამოსვენება 27-XI, 4 ს. მცხეთის ქ. № 22.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

გმირი საბჭოთა არმიისა და ხალხის მჭიდრო ურთიერთობის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენდა ოფიცერთა თბილისის საოლქო სახლში 23 ნოემბერს მოწყობილი საღამო, რომელზეც გენერლები, ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები შეხვდნენ მოძმე სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს. შეხვედრა მიძღვნილი იყო სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32-ე წლისთავისადმი.

საღამოს ესწრებოდნენ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ბუნიატიანი, კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორი ე. აკოფიანი, მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ბაბაჯანიანი, მწერალი სირასი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. პეტროსიანი, ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი არმინე თუთუნჯიანი.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გახსნა ვ. ბოგმატმა.

მოძმე სომხეთის მიერ სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე მიღწეული უდიდესი წარმატებების შესახებ ვრცელი და საინტერესო სიტყვა წარმოთქვა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ბუნიატიანმა. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ სომხეთი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად, მოწინავე კულტურის ქვეყნად.

დიდი რუსი ხალხისა და სომეხი ხალხის მეგობრობაზე, ამ მეგობრობისა და დახმარების შედეგად რესპუბლიკის ინდუსტრიის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებზე ილაპარაკა კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორმა ე. აკოფიანმა. იგი ამბობს, რომ დიდი სამამულო ომის შემდეგ რესპუბლიკაში აგებულ და რეკონსტრუირებულ იქნა ათობით საწარმო. განსაკუთრებით განვითარდა რესპუბლიკაში მეტალურგია, ელექტროენერგიის წარმოება, მძიმე მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობა. ინდუსტრიის ეს დარგები უმთავრესად ადგილობრივ რესურსებს ემყარება.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სომეხი მწერალი სირასი და ვ. მ. ლაპა.

დასასრულ შედგა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. პეტროსიანმა, სოლისტმა ა. თუთუნჯიანმა და ოფიცერთა სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ Ტ. Დ. ᲚᲘᲡᲔᲜᲙᲝ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲨᲘ

მახარაძე. (საქ. კორ.). 23 ნოემბერს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის საკავშირო ინსტიტუტს ესტუმრა აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო.

აკადემიკოსმა ლისენკომ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთები, სათბურები და ორანჟერიები; სტუმრები გაეცნენ აგრეთვე ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთს. ლიმონის ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების ღონისძიებებზე და ციტრუსების ყინვაგამძლეობის საკითხებზე საუბარი ჰქონდათ ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეებთან და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკებთან. ამხ. ლისენკომ მათ ბევრი სასარგებლო მითითება მისცა.

ანასეულიდან სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ ბათუმში.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ

სტუდენტი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სტუდენტთა ქალაქის სანატორიუმი. აქ გამოყენებულია მკურნალობისა და გაჯანსაღების ყველა საუკეთესო მეთოდი. ოთხი წლის მანძილზე სანატორიუმში დაისვენა 2.000 სტუდენტმა.

სანატორიუმს დიდ დახმარებას უწევს სტუდენტთა ქალაქის საავადმყოფოსთან არსებული თერაპიული განყოფილებები, რომლებსაც 8 ექიმი ემსახურება. სანატორიუმის დასასვენებელ ოთახში არის მრავალნაირი ლიტერატურა, იმართება გასაუბრებები, ეწყობა ექსკურსიები და კოლექტიური დასწრება კინო-სურათებსა და სპექტაკლებზე.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

მეუღლე ბაგრატ, შვილები გოგოლი, ეთერ, ნათელა ჯაფარიძეები, სიძე ნოე ჯანჯღავა, შვილიშვილი თამაზ იუწყებიან **ეკატერინე კუხალეიშვილი-ჯაფარიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 29-XI ს. ნაფიჩხოვოში (ჩხოროწყუს რ.).

შვილები გიორგი, მიხეილ, შოთა, მარო, რძლები ქენია, თინა, ქენია და შვილიშვილები იუწყებიან **ნიკოლოზ თედორეს-ძე ჯანგველაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI სოფელ მაიდანში (აბაშის რაიონი).

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის სტომატოლოგიის კათედრა და მსმენელი ექიმები იუწყებიან **ოლღა ვასილის ასულ დარჩიაშვილი-დონჯაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები ბაბულია, გაიოზ ხმალაძეები, სიძე ი. ვარდანაშვილი, რძალი მ. სამარლანიშვილი, შვილიშვილები მარო, ნინო, ნელი, ლიანა იუწყებიან **მარიამ დიმიტრის ასულ ხმალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-XI, 7 ს. გამოსვენება 27-XI, 5 ს. რიონის ქ. № 20. (საბურთალო).

დები ეფემია, ელენე, ცაცა კობახიძეები, დისწულები ვასილ, თამარ, ქეთო, სიდო ცინცაძეები, ვ. ხმალაძე, სიძეები მ. ვარდანაშვილი, ს. ჯაფარიძე, ვ. აივაზოვი იუწყებიან **მარიამ დიმიტრის ასულ კობახიძე-ხმალაძის** გარდაცვალებას.

თბილხილბოსტანვაჭრობის № 7 მაღაზიის თანამშრომლები იუწყებიან **ოლა იაგორის ასულ ზუბიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე თალიკო ლორთქიფანიძე, შვილები დალილა, ლიანა, და ცაცა ხონელიძეები იუწყებიან **დორე ნიკოლოზის-ძე ხონელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-XI ქ. ფოთში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 16711